ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 84
(11 438)

24 – 26 ოქტომბერი, 2000 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# უეფამ და ევროკავშირმა ურთიერთშეთანხმების პირველი ნაბიჯი გადადგეს

როგორც ვიუწყებოდით, ამ დღეებში ჟენევაში შეიკრიბნენ უეფას წევრი ქვეყნების ხელმძღვანელები, რომლებმაც კონტინენტის საფეხბურთო ორგანიზაციის თავკაცებთან ერთად განიხილეს ევროპაში ფეხბურთელთა ტრანსფერისა და ამ პროცესის ევროკავშირის იურიდიულ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხები.

როგორც ჟენევიდან დაბრუნებულმა სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გვითხრა, შეკრებამ ურთიერთგაგების სურვილით ჩაიარა. 31 ოქტომბრამდე ევროკავშირს დაეგზავნება კონფერენციაზე შეთანხმებული დოკუმენტი და რეზოლუცია, რომლის საბოლოო რედაქციაზე კიდევ 2-3 დღე იმუშავებენ ეროვნული საფეხბურთო ასოციაციების მესვეურები ფიფას ვიცე-პრეზიდენტის ხელმძღვანელობით. სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია კიდევ რამდენიმე დღით სწორედ ამ მიზნით დარჩა ჟენევაში. საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ტრანსფერების მოგვარებას ევროპის ერთიანი საფეხბურთო ოჯახის სასიკეთოდ, წლის ბოლომდე მიიღებენ. მანამდე შეთანხმდებიან შუალედურ დოკუმენტზე.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ღრმად ჩაიხედა კონტინენტის საფეხბურთო მეურნეობაში, ევროკავშირი უფრო თავდაჭერილ მიდგომას ავლენს და გაგებით ეკიდება ევროპის სატრანსფერო პრობლემებს.

დოკუმენტს, რომელიც ევროკავშირში წარსადგენად უეფაში ახლა იხვეწება და ჟენევაში გამართული თავყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის სრულ ტექსტს „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.



„ლოკომოტივი“ – „ფოთი-1913“

ელდარ ბალხამიშვილის ფოტო



## ჩვენში და უცხოეთში...

იხ. მე-3-4; მე-5-6 გვ.

## ვერის ბაღში უცხოელებიც გამოჩნდნენ

საქართველოს საკალათბურთო ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებებია, ფედერაციის (პრეზიდენტი გ. ქათამაძე) ძალისხმევით ახალი, საიუბილეო X ჩემპიონატის დაწყებამდე შეკეთდა და კეთილმოეწყო შეჯიბრების მთავარი არენა — ვერის ბაღში მდებარე ბავშვთა საკალათბურთო დარბაზი, მონაწილე გუნდებს დროულად დაურიგდათ სათამაშო კალენდარი, სათანადოდ მოემზადნენ ამ ასპარეზობისთვის მსაჯებიც (ეს პირველივე შეხვედრებში შეეტყო — ჯერჯერობით ყველაფერი ექსცესების გარეშე მიმდინარეობს).

ჩემპიონატის საზეიმო გახსნა გასულ შაბათს მოეწყო, მერე კი გაიმართა პირველი შეხვედრები.

**21 ოქტომბერი.** თსუ — ვითა 127:98, აზოტი — დინამო 103:72, ბასკო — სსუ 107:58, სტუ — შევარდენი 114:103.

**22 ოქტომბერი.** ბასკო — თსუ 126:103, შევარდენი — სსუ 114:96, აზოტი — მაკაბი 102-85, სტუ — ვითა 98:89.

**გუშინ** შედგა კიდევ ერთი შეხვედრა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბათუმის ბასკომ იოლად სძლია თბილისის „დინამოს“ 101:75.

დამსწრეთა საერთო შეფასებით, პირველმა მატჩებმა ცხადჰყო, რომ სათამაშო დონით ქართული საკალათბურთო გუნდები აღმავლობის გზაზე დგანან. ზოგიერთ გუნდში („ბასკო“, „მაკაბი“) უცხოელი მოთამაშეებიც გამოჩნდნენ, რაც ცხადია, მაყურებელშიც ცხოველ ინტერესს იწვევს — ტურის დღეებში საკალათბურთო დარბაზში ტევა არ არის.



გუშინ: „ბასკო“ — „დინამო“

ალექსანდრე ქოტორაშვილის ფოტო

**ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

პარასკევს, 27 ოქტომბერს, 19 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება ძიუდოში ტრადიციული, ამჯერად 28-ე საერთაშორისო ტურნირისადმი (A კატეგორია) მიძღვნილი პრესკონფერენცია.

## პარლამენტარი — პრეზიდენტი!

გაიმართა თბილისის ძიუდოს ფედერაციის ყრილობა, რომელმაც პრეზიდენტად აირჩია ძიუდოში საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი, ამჟამად პარლამენტარი *ზაზა შერაზადიშვილი.*

## საკადრო ცვლილებები „დინამოში“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკადრო ცვლილებები გაატარა მისდამი დაქვემდებარებულ საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოში“. პირადი განცხადებით და სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით, კლუბის გამგეობის წევრის უფლებამოსილება შეუწყდა ჯიმი მიქელაძეს. თანამდებობიდან განთავისუფლდა თავმჯდომარის პირველი მოადგილე რობინზონ თუშურაშვილი და შეუწყდა მას გამგეობის წევრის უფლებები. ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობის შესრულება დაევალა გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს რევაზ მაჭავარიანს და მიენიჭა მას წესდებით გათვალისწინებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

## ...და კიდევ ნომერში წაიკითხავთ:

- რა მოგვიტანა შოთა ჭეიშვილმა და რა წაგვართვა ჯანი კარნევალემ როგორ დააბალანსებს პრობლემებს ბათუმელთა ახალი თავკაცი ასლან ბალაძე?
- თბილისის თავკაცები და პარლამენტარები სპორტულ შეჯიბრებას დაესწრებიან.
- **სუმო გავიშინაურეთ!**
- წარმოგიდგენიათ? პელეც გახდა 60-ის!
- XX საუკუნის ტრაგედიები სპორტსმენთა მსხვერპლით



## «აკი გპირდებოდი, დაგალილავებ! რატომ არ დამიჯერე?»

ასეთი სიტყვებით მიმართა ამერიკელმა მაიკ ტაისონმა პოლონელ ანჯეი გოლოტას. პროფესიონალ მძიმეწონოსან მოკრივეთა ეს ორთაბრძოლა ხანმოკლე გამოდგა. გოლოტამ პირველ რაუნდში ისეთი აპერკოტი მიიღო, იატაკზე აღმოჩნდა. მეორეშიც ამერიკელმა რამდენიმე ძლიერი დარტყმა მიაყენა მეტოქეს. და მაინც, მაყურებელს იმედი ჰქონდა პოლონელი კიდევ რამდენიმე რაუნდს გაძლებდა, მაგრამ გაწბილება ელოდა – გოლოტამ ბრძოლის განახლებაზე უარი განაცხადა.




# მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 10 თვე დარჩა

**...სიდნეის ოლიმპიადამ დაადასტურა, რომ ამოუწურავია საქართველოს სპორტული პოტენციალი: ყოველ სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქში მოიძებნება ნამდვილად ჭეშმარიტი ტალანტი.**

*ე. შევარდნაძე*

მსოფლიოს ქვეყნები უკვე ჩაებნენ მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებაში, მათთვის ოლიმპიადა დამთავრდა – ოლიმპიადა დაიწყო. ისინი აათმაგებენ ძალისხმევას, არ იშურებენ სახსრებს, ადგენენ სავარაუდო ოლიმპიელთა სიებს. ჩვენ? ჩვენ ჯერ სიდნეიში წარმატების ეიფორიაში ვართ და ქვეყანა დარდიმანდულად არ ფიქრობს ხვალინდელ დღეზე. ჩვენთვის წლევანდელი სპორტული წელიწადი ოლიმპიადით დამთავრდა, რადგან ბიუჯეტი ქართულ სპორტს წლის ბოლომდე გამოემშვიდობა. ასე შორს ვერ წავალთ! გვახსოვდეს მომავალი ოლიმპიური თამაშები!

## გაზეთ „ლელოს“ მთავარ რედაქტორს!

ზაფხულის XXVII ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენები და მწვრთნელები, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მადლობას გიხდით იმ დახმარებისა და თანადგომისათვის, რომელსაც ოლიმპიური ციკლის მთელი პერიოდის მანძილზე თქვენ და თქვენი გაზეთი იჩენდით ქართველი ოლიმპიელების მიმართ და რომელმაც გარკვეულწილად განაპირობა სიდნეიში მოპოვებული შედეგები.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ მომავალში კვლავაც იქნებით ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის დამხმარე და ქომაგი.

პატივისცემით,

პრეზიდენტი **ჯ. ბაგრატიონი,**

გენერალური მდივანი **ე. ზენაიშვილი**


ხვიჩა ქობალია


ალექსი დავითაშვილი


ჯონდო დაბრუნდაშვილი


ლევან ებანოიძე

# პოლონეთიდან ვერცხლით და ბრინჯაოთი

პოლონეთის ქალაქ კრაკოვში სუმოს ოსტატთა ევროპის VI ჩემპიონატში, ჩინებულად იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა. ჩვენმა სუმისტებმა ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. წონითი კატეგორიების მიხედვით ვერცხლის მედალი მოიპოვა ხვიჩა ქობალიამ (115 კგ), აბსოლუტურ წონაში მესამე ადგილზე გავიდნენ ჯონდო დაბრუნდაშვილი და ალექსი დავითაშვილი, გუნდურ პირველობაზე საქართველოს ნაკრები (ჯონდო დაბრუნდაშვილი ალექსი დავითაშვილი, ლევან ებანოიძე) მესამე იყო პოლონეთისა და გერმანიის შემდეგ. გუნდის კიდევ ერთი წევრი ლევან ალთუნაშვილი უმედლოდ დარჩა. ტურნირის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ ნაკრების მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს სუმოში ***თამაზ ჩხარტიშვილს:*** „უსახსრობის გამო ნაკრები ტურნირზე მწვრთნელებისა და მსაჯის გარეშე გაემგზავრა, ბიჭებმა პოლონეთამდე ოთხი დღე იმგზავრეს ავტობუსით და მატარებლით, გზაში გაცივდნენ კიდეც, თუმცა, სიძნელეები დაძლიეს და დელეგაციის ხელმძღვანელის, სუმოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ლაშა აბესაძის ძალისხმევით, ტურნირზე ურიგოდ არ უასპარეზიათ. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე,


თამაზ ჩხარტიშვილი

კარგი შედეგი აჩვენეს. ხვიჩა ქობალია ამ შეჯიბრებისთვის მთელი წელიწადია ემზადებოდა და ვერცხლიც მოიპოვა. ჩვენთვის მთავარია შეკრებისა და მზადებისთვის ელემენტალური პირობები მაინც გვქონდეს, რათა შედეგები ბევრად უკეთესი იყოს. არავითარი შეკრება არ გაგვივლია, ნაკრები ისე წავიდა ტურნირზე — ფაქტობრივად ენთუზიაზმისა და ფანატიზმის ამარა ვართ. ჩვენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი სუმოს ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ რუხაძეა.

2-3 დეკემბერს სან-პაულუში მსოფლიოს IX ჩემპიონატია, ამ შეჯიბრებისთვის მზადებაშიც უსახსრობა გვიშლის ხელს. თუ ფინანსები გამოჩნდება, ნაკრები წავა ტურნირზე. არადა, ლევან ებანოიძემ შარშან მოპოვებული აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონის ტიტული უნდა დაიცვას. ამავე აზრისაა უფროსი მწვრთნელი ანზორ მარტყოფლიშვილი.

საქართველოს სუმოს ფედერაცია სამი წელია, რაც შეიქმნა. ამ ხნის მანძილზე საქართველოს ნაკრებმა სამჯერ იასპარეზა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე და ყოველთვის მედლებით ბრუნდებოდა შინ. 1998 წელს ნაკრებმა ევროპის სარბიელზე ერთი ვერცხლის და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 1999 წელს ჩემპიონი გახდა ლევან ებანოიძე, მეორე ადგილზე გავიდა ჯონდო დაბრუნდაშვილი, მესამეზე — ხვიჩა ქობალია. ნაკრებმა სამივე ევროპულ ტურნირზე გუნდური მესამე ადგილი დაიკავა.

**საბა ლომინაძე**

# თბილისი მხარში უდგას აფხაზეთიდან ლტოლვილებს

მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურისა და აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის თაოსნობით ჩატარდა მასობრივი სპორტული ღონისძიება აფხაზეთიდან ლტოლვილთა მონაწილეობით. ცურვაში 60 მოზარდი გამოვიდა სტარტზე სპორტის დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის საცურაო აუზში, პოლიციის აკადემიის საერთო საცხოვრებელში კი, სადაც დევნილები კომპაქტურად ცხოვრობენ, გაიმართა შეჯიბრებები ჭადრაკში, ნარდში, ბაგირის გადაძალვაში, მაგიდის ჩოგბურთში და მკლავჭიდში.

გამარჯვებულები და პრიზიორები შეჯიბრების ორგანიზატორებმა და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა დააჯილდოვეს. რჩეულებს ფასიანი საჩუქრებიც გადაეცათ.





# ტატამზე – „ათენი-2002“-ის კონტურები

სულაც არ იყო საჭირო გამოცდილი თვალი იმისათვის, რომ დარწმუნებულიყავით თუ რა საჭირო, კი არა, აუცილებელიც იყო ამ ასპარეზობის ჩატარება იმ 250 ჭაბუკ (16 წლამდე) ძიუდოისტთა შორის, რომელიც თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურმა (ვ. კანკავა) საერთაშორისო სტატუსით ჩაატარა. აქ, რომ იტყვიან, დამარცხებული არ ყოფილა და ყველა გამარჯვებული გამოვიდა. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ამ ასაკში შეჯიბრება, განსაკუთრებით ახლა, საკმაო იშვიათობას წარმოადგენს და ისიც, თუ ჩატარდა, მხოლოდ ადგილობრივი მასშტაბით, რომელშიც მეტწილად ერთი და იგივე მეტოქეებთან აქვთ საქმე. ეს მათ ზრდას ნაკლებად უწყობს ხელს. ამდენად, სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა უცნობი მოჭიდავეების პირისპირ საკუთარი შესაძლებლობის გამოცდას. ამიტომაც, მოწვევა სიამოვნებით აიტაცეს აზერბაიჯანის, სომხეთის, ალანიისა და რუსეთის ნაკრებებმა და მოაშურეს ჩვენს დედაქალაქს.


გამარჯვებულებს და პრიზიორებს აჯილდოებს თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსი ვლადიმერ კანკავა.

ტურნირმა სავსებით გაამართლა მიზანი და თავიდანვე გამოიკვეთა მისი იმიჯი. ტატამის მასპინძლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შემდრკალან ამ საერთაშორისო სადებიუტო გამოსვლებში და არავისთვის დაუდიათ ტოლი. მაყურებელი, რომელმაც არაფრად ჩააგდო ჭირვეული ამინდი და „ქარიშხალას“ დარბაზის მიუდგომლობა, აშკარად კმაყოფილი დარჩა ჭაბუკთა გაბედული შერკინებების ხილვით.

რა თქმა უნდა, ნიჭიერ სპორტსმენთა სახელები ჩაინიშნეს მწვრთნელებმა, ვინაიდან სწორედ ის ასაკი იყო სარბიელზე, რომელსაც ამ ოთხწლეულის ბოლო წელს ზაფხულის XXVIII ოლიმპიურ თამაშებში მოუწევს გამოსვლა ათენში. ვფიქრობთ, ეს სახელები ერთეულები არ იქნება, ვინაიდან დასამახსოვრებელი გამოსვლა საკმაოდ იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭიდაობის ჩვენი ცენტრების მარტყოფის, თელავის, ქუთაისის, საგარეჯოსა და სხვა რეგიონების წარმომადგენლების მხარდამხარ იბრძოდნენ, სვანი ჭაბუკები. ეს მით უფრო მისასალმებელი და სასიხარულოა, რომ ამ რეგიონში, რომელიც ადრე უძლიერეს ძიუდოისტებს იძლეოდა საქართველოს ნაკრებში, ერთხანს მიინავლა ნორჩებთან მუშაობა... იმედია, ეს გამოცოცხლება წამიერი არ იქნება და სვანი მოჭიდავეები კვლავ იტყვიან თავიანთ სიტყვას.

**ქვარცხლბექი.** ***46 კგ:*** 1. დათო ასუმბანი, 2. გიორგი შაშიაშვილი, 3. ლაშა ტვილდიანი (სამივე — თბილისის ოლიმპიური რეზერვის სკოლა), 3. ალექსი კუწანაშვილი (საგარეჯო). ***50 კგ:*** 1. დათო ავალიანი, 2. ვახტანგ სეთური (ორივე — „მართვე“, თბ.), 3. გიორგი მჭედლიშვილი (ორს), 3. რაულ გასიევი (აზერბაიჯანი). ***55 კგ:*** 1. ვაჟა კოტორაშვილი (ორს), 2. ვანო ძამუკაშვილი (თელავი), 3. დათო სიმონიშვილი (ორს), 3. ირაკლი ნიჟარაძე (გარდაბანი), ***60 კგ:*** 1. ჰამლეტ კირვალიძე (თბ.), 2. მალხაზ ავეტიქოვი, 3. დათო უძილაური (ორივე — თელავი), 3. ნუკრი მინასაშვილი (ორს). ***66 კგ:*** 1. აჩიკო შათირიშვილი (ახმეტა), 2. ზაზა კედელაშვილი (თბ. „შევარდენი“), 3. რობერტ გაგიევი (ალანია), 3. მუსიფ ჯაფაროვი (აზერბაიჯანი). ***73 კგ:*** 1. გიორგი შინჯიკაშვილი (მარტყოფი), 2. სერგო ავეტიქოვი (თელავი), 3. გოგიტა ბაინდურაშვილი (გურჯაანი), 3. ბადრი გავაშელაშვილი (თბ.). ***81 კგ:*** 1. კახა ცხადაძე (ქუთაისი), 2. სოსლან ძაგოევი (ალანია), 3. თედორე აბულაშვილი, 3. დათო დავითაშვილი (ორივე — თბ.). ***90 კგ:*** 1. გელა ბეჭვაია (ქუთაისი), 2. ნოდარ ქათამაძე, 3. ვალერი კაციაშვილი (ორივე — თბ.), 3. სტანისლავ მაკიევი (რუსეთი). ***+90 კგ:*** 1. ლევან გუჯეჯიანი (თბ.), 2. რუსლან კამოევი (ალანია), 3. გურამ ავაზაშვილი (თბ.).

**ჰ. უნბიაძე**

**რედაქციისაგან: სიდნეიში გამართული ოლიმპიური თამაშების შემდეგ, ჩვენში სპორტისადმი ყურადღების გამახვილება აშკარად შეიმჩნევა. ყოველ შემთხვევაში, თბილისზე ეს ნამდვილად ითქმის, თუმცა დედაქალაქის ხელმძღვანელობას არც მანამდე შეუნელებია მზრუნველობა სპორტისადმი. ახლა მათი ენთუზიაზმი პარლამენტსაც გადაედო და ძიუდოისტთა ზემოხსენებულ საერთაშორისო ტურნირზე თბილისის თავკაცთა შორის სპორტის ჭეშმარიტ გულშემატკივარ პარლამენტარებსაც შენიშნავდით, თვით შემოსავლების მინისტრიც კი მობრძანდა. თქვენ მათ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ფოტოზეც ხედავთ.**

**იქნებ მართლა დაიწყოს შემობრუნება ქართული სპორტისაკენ!**





**ქვირას** მცხეთის რაიონის სოფელ გალავანში, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის სპორტულ დარბაზში ჩატარდა შეჯიბრება, რომელიც ქართულ ჭიდაობაში სპორტის ოსტატ რეზო დვალის ხსოვნას მიეძღვნა. ტურნირში მონაწილეობდა მცხეთის რაიონისა და საქართველოს სამბისტთა ნაკრები გუნდები.



მთავარი ჯილდო – რეზო დვალის ხსოვნის პრიზი მოიპოვა საქართველოს სამბისტთა ნაკრები გუნდის წევრმა ზურაბ მუზაშვილმა.

გათამაშდა აგრეთვე რაიონის სხვა გარდაცვლილ მოჭიდავეთა პრიზები.

*ა. კოტორაშვილის ტექსტი და ფოტოები.*

ქართული ფეხბურთი
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## ანონსი
### უმაღლესი ლიგა, X ტური

*25 ოქტომბერი*

**გორდა — სიონი:** მთავარი მსაჯი — ა. შალამბერიძე, ასისტენტები — ჩიგოგიძე, რუსიშვილი, მეოთხე მსაჯი — კრიჭაშვილი, ინსპექტორი — ა. დურსუნიში.

**მერანი — დინამო (ბთ):** მთავარი არბიტრი — ა. მეშკოვი, ასისტენტები — ხუციშვილი, მენთეშაშვილი, მეოთხე მსაჯი — შილაკაძე, ინსპექტორი — ი. მჭედლიშვილი.

**იბერია — დინამო (თბ):** მთავარი მსაჯი — ს. კვარაცხელია, ასისტენტები — ჯვარიძე, ურუშაძე, მეოთხე მსაჯი — ანიაშვილი, ინსპექტორი — მ. ლაცაბიძე.

**თსუ — ტორპედო:** მთავარი მსაჯი — ლ. ფანიაშვილი, ასისტენტები — დოლიძე, ელიკაშვილი, მეოთხე მსაჯი — მალაღურაძე, ინსპექტორი — გ. გვანცელაძე.

*26 ოქტომბერი*

**ვიტ ჯორჯია — კოლხეთი 1913:** მთავარი მსაჯი. დოგრაშვილი, ასისტენტები — გაბრიაძე, კიკაჩეიშვილი, მეოთხე მსაჯი — ორდინიძე, ინსპექტორი — მ. კობიაშვილი.

***დილა — ლოკომოტივი:*** მთავარი მსაჯი — დ. სანაია, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — ა. მესხი, ინსპექტორი — გ. ფირცხალავა.




გუშინ გამართულმა საქართველოს თასის მერვედფინალის კენჭისყრამ მოასპარეზე გუნდები ასე დააწყვილა:

სამგურალი (წყალტუბო) — თსუ (თბილისი)
კოლხეთი 1913 (ფოთი) — მეტალურგი (ზესტაფონი)
ტორპედო (ქუთაისი) — დინამო (ბათუმი)
დილა (გორი) — გორდა (რუსთავი)
დინამო (თბილისი) — სიონი (ბოლნისი)
ლოკომ-2-გურია (ლანჩხუთი) — ლოკომოტივი (თბილისი)
ვიტ ჯორჯია (თბილისი) — დინამო (ზ) თბილისი — მერანი 91 (თბილისი)

*მატჩები გაიმართება 7 და 21 ნოემბერს, პირველი მატჩები ჩატარდება პირველად დასახელებული გუნდების სტადიონებზე.*

## რეგიონული ლიგა
### V ტური. 18–21 ოქტომბერი

### ცენტრალური ზონა

მესხეთი — ვარძია 1-0
დილა2 — ვალენსია 1-1
ოლიმპიკი — ვიტ ჯორჯია2 1-0
ამირანი — საბურთალო 2-0
დინამო2 (თბ) — მრეტები 0-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 4 | 4 | 0 | 0 | 13-7 | 12 |
| ვიტ ჯორჯია2 | 5 | 2 | 2 | 1 | 14-6 | 8 |
| ვალენსია83 | 4 | 2 | 2 | 0 | 7-2 | 8 |
| დინამო2(თბ) | 5 | 2 | 1 | 2 | 11-8 | 7 |
| მრეტები | 5 | 2 | 1 | 2 | 3-5 | 7 |
| მესხეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-7 | 7 |
| ოლიმპიკი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-5 | 6 |
| ს.ა. იბერია | 4 | 1 | 3 | 0 | 8-5 | 6 |
| დილა2 | 5 | 0 | 3 | 2 | 6-13 | 3 |
| საბურთალო | 5 | 0 | 2 | 3 | 4-16 | 2 |
| ვარძია | 4 | 0 | 1 | 3 | 0-4 | 1 |

### აღმოსავლეთი ზონა

აკადემია — ზოოვეტი 2-1
კავკასიონი — ცხუმი 0-2
ლოკომოტივი 3 — ალაზანი 2-0
სკა — ჭაბუკიანი (გადაიდო)
თბილისი2 — ხალიბი (გადაიდო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტ.3 | 4 | 4 | 0 | 0 | 10-1 | 12 |
| აკადემია | 5 | 3 | 2 | 0 | 5-2 | 11 |
| ხალიბი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| ჭაბუკიანი | 3 | 2 | 0 | 1 | 9-3 | 6 |
| ცხუმი | 5 | 2 | 0 | 3 | 3-4 | 6 |
| ალაზანი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-12 | 6 |
| ზოოვეტი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| თბილისი2 | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| სამგორი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| ა.ს.კ. | 4 | 1 | 0 | 3 | 6-10 | 3 |
| კავკასიონი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-9 | 0 |



### დასავლეთი ზონა

დინამო2 (ბთ) — დინამო (სოხ) 1-1
სალხინო — მზიური 3-4
ინტერი — სულორი 12-0
კოლხეთი2 — სამეგრელოო 2-0
ლაზიკა — მერცხალი 3-1
გურია2 — სქური 2-6

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზიური | 5 | 5 | 0 | 0 | 19-7 | 15 |
| ლაზიკა | 5 | 3 | 1 | 1 | 16-10 | 10 |
| სქური | 5 | 3 | 1 | 1 | 11-6 | 10 |
| კოლხეთი2 | 5 | 3 | 0 | 2 | 7-4 | 9 |
| ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 17-4 | 8 |
| დინამო2(ბთ) | 5 | 1 | 2 | 2 | 9-7 | 5 |
| სალხინო | 5 | 1 | 2 | 2 | 10-11 | 5 |
| მერცხალი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-8 | 5 |
| გურია2 | 5 | 1 | 2 | 2 | 7-14 | 5 |
| სამეგრელო | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 4 |
| სულორი | 5 | 1 | 0 | 4 | 6-27 | 3 |
| დინამო (სოხ) | 5 | 0 | 3 | 2 | 4-9 | 3 |

# ბათუმის დინამოელთა გასაჭირი
## ასლან ბალაძე ბათუმელთა ახალი მთავარი მწვრთნელია

**ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელთა კლუბი თითქმის საუკუნოვან ისტორიას ითვლის. ეს კლუბი ქართულ გრანდთა შორის ყოველთვის მოიხსენიებოდა და, იმედია, მომავალშიც ასე იქნება.**

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს „დინამო" კრიზისმა მოიცვა. აი, რა მოუტანა კლუბს სისტემატურმა მწვრთნელთა ცვლამ. მოდით, გავიხსენოთ მეცხრე ეროვნული ჩემპიონატი. მაშინ ბათუმელთა გუნდს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი შოთა ჭეიშვილი წვრთნიდა. მისი მეთაურობის პერიოდში გუნდმა თავისი ხელწერა შეიმუშავა და ლამაზი ფეხბურთის თამაშით ათასობით ქართველი გულშემატკივარი მოხიბლა. შოთა ჭეიშვილის მწვრთნელობის დროს ბათუმის დინამოს


ასლან ბალაძე

გუნდი მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა, საქართველოს თასის ფინალში ქვეყნის პირველი გუნდი — თბილისის „დინამო" დაამარცხა, მაგრამ ვაისპეციალისტებმა ეს შედეგი სხვაგვარად შეაფასეს, შემთხვევითობას მიაწერეს. შავიზღვისპირელმა ფეხბურთელებმა კი სუპერთასზე ისევ სძლიეს თბილისელ თანაკლუბელებს. მერე სტარტი აიღო მეათე ჩემპიონატმა და ბათუმელთა საქმეები მთლად ისე ვერ აეწყო, როგორც სურდათ. გუნდი ჩემპიონატში საშუალო დონის კოლექტივად მოგვევლინა, არასტაბილური თამაშის წყალობით „დინამო" ბევრ ქულას კარგავდა. პირველი წრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ისეთი მდიდარი ტრადიციების კლუბი, როგორიც „დინამოა", პრიზიორთა შორის მოხვედრას ვერ შეძლებდა. აქვე ბათუმელთა გუნდი თასის მეოთხედფინალში აღმავლობის გზაზე მყოფ თბილისის „ლოკომოტივს" გადაეყარა და იქაც დამარცხდა. ამის შემდეგ გუნდს კიდევ უფრო დიდი პრობლემები შეექმნა. ეს ყველაფერი შოთა ჭეიშვილს დაბრალდა, დავიწყებას მიეცა ერთი წლის წინათ მოპოვებული მიღწევები და ახლი სეზონიდან გუნდში სინიორ ჯანი კარნევალე მიიწვიეს. უფროსი მწვრთნელის სავარძელი იტალიელმა სპეციალისტმა დაიკავა და, თანაც, მან თამამად განაცხადა, ევროპის საფეხბურთო კლუბს შევქმნიო, მაგრამ დაპირება ვერ შეასრულა. იტალიელ მწვრთნელს თავიდანვე ამბიციები გაუჩნდა და ხმამაღლა გაიძახოდა — ჩვენ ქართული ფეხბურთის მწვერვალზე ავალთო. მოგვიანებით იტალიელი ჯანი კარნევალე ქართულ ჟურნალისტიკაში ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა გახდა, იგი სხვადასხვა გამოცემებში ქებითა და მადლიერებით მოიხსენიებოდა. ამასობაში „დინამომ" თავისი ხელწერა დაკარგა. დაცვით ფეხბურთს მისდევდა. საბოლოოდ, მეორე ეტაპი ერთობ უშედეგო აღმოჩნდა და ბათუმელებმა ვერც მაშინ დაგვამახსოვრეს თავი.

ამ წარუმატებლობის შემდეგ „დინამოს" გუნდის ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა გუნდის გაახალგაზრდავება და გამოცდილი ათამდე ფეხბურთელი ერთბაშად დაითხოვა. ჩვენი გუნდი მომავლის გუნდიაო — ამშვიდებდა ფეხბურთის გულშემატკივრებს კარნევალე. დრო კი გადიოდა და სასიკეთო არაფერი ჩანდა.

მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებაში „დინამოს" მთელი აჭარა ეხმარებოდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე უზომოდაა შეყვარებული ფეხბურთზე და სწორედ მისი თანადგომით ყველაფერი გაკეთდა გუნდის სასიკეთოდ.

მოსამზადებელ პერიოდს თავდაპირველად 45 ფეხბურთელი გადიოდა. ბოლოს კი სასტარტო შემადგენლობაში 20-22 დარჩა. სამი ტურის შემდეგ მოწვეული 5 გამოცდილი მოთამაშე სხვადასხვა გაურკვეველი მიზეზის გამო გუნდიდან გაუშვეს და „დინამო" გამოუცდელი ახალბედებით შეივსო. შედეგად, ბათუმის „დინამოს" სათადარიგო სკამი ძალიან მოკლე აღმოჩნდა. გუნდი, როგორც საკუთარ, ისე მეტოქის მინდორზე ზედიზედ აგებდა მატჩებს და სატურნირო ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდა, რის შემდეგ ბათუმელები ძნელი პრობლემების წინაშე დადგნენ. რა თქმა უნდა, გუნდისა და კლუბის ხელმძღვანელები უკმაყოფილო დარჩნენ სენიორ ჯანის მუშაობით და კლუბის დატოვება შესთავაზეს. ისე, უკვე ეს მეორე შემთხვევაა (გაიხსენეთ იოჰან ბოსკამპი), როდესაც უცხოელ სპეციალისტებთან განშორება შედეგის მიუღწევლობის გამო ხდება და თუ ვამბობდით ადრე უცხოელი მოვიწვიოთო, ახლა უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანისაგან, ალბათ, თავი უნდა შევიკავოთ. შეიძლება მათი ხასიათი ქართველი კაცისას არ მოერგოს ან, პირიქით, ისინი ჩვენსას, მოკლედ, უარყოფითი შედეგი აშკარაა.. არადა, ამ დროს საქართველოში ბევრი კარგი სპეციალისტი გვყავს.

ერთსაც დავძენთ იმ მწვრთნელების მისამართით, რომლებიც „დინამოს" საკმარისზე მეტი ჰყავს — გუნდის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე ყველამ უნდა აგოს პასუხი, მარტო ჯანი კარნევალეს ნუ გადავატეხთ ჯოხს.

ბათუმის „დინამო" ამ კრიზისს, ვფიქრობთ თავს გაართმევს ახალი მწვრთნელის, წარსულში გამოცდილი გოლკიპერის ასლან ბალაძის ხელმძღვანელობით.

**ოთარ მურვანიძე,**
„ლელოს" კორ., ქ. ბათუმი

# ბათუმის „დინამოს" სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს

ბათუმის „დინამოს" სტადიონი სულ მოკლე ხანში კიდევ უფრო კეთილმოეწყობა და გალამაზდება. ზღვისპირა სარბიელს თანამედროვე ალჭურვილობის სასტუმრო დაამშვენებს, აღმოსავლეთ ტრიბუნების ქვეშ სამუშაოების 50 პროცენტი უკვე შესრულებულია.

ალბათ მოგეხსენებათ, აღმოსავლეთ ტრიბუნა ბათუმურ წვიმას ვერ აკავებდა, გასახდელები, სამსაჯო ოთახები და დამხმარე სათავსოები მთლიანად იტბორებოდა, გაჩნდა პრობლემები, სპორტნაგებობა შესაკეთებელი გახდა.

ახლა აღმოსავლეთი ტრიბუნის საიზოლაციო სამუშაოები კეთდება. ტრიბუნას სპეციალური რობსონის ხსნარით ამუშავებენ, რის შემდეგ კოკისპირული წვიმა მას ვერაფერს დააკლებს, წყალს აღარ გაატარებს და მთლიანად მოიხსნება ყველა პრობლემა.

ჩვენთან საუბარში სტადიონის დირექტორმა ზაზა ფალავანდიშვილმა გვითხრა: „ეს ხსნარი სპეციალურად გერმანიიდან ჩამოვიტანეთ, ამ სამუშაოსაც გერმანელი სპეციალისტები ასრულებენ. ისინი რობსონის [illegible] გუდრონს დაასხამენ, რაც იზოლაციის გარანტიას იძლევა, ინდივიდუალური სკამები ახალი დამონტაჟდება, ევროსტანდარტის დონეზე.

სამუშაოები, ვარაუდობენ, იანვრის ბოლოსათვის დასრულდება. თუმცა, ეს მხოლოდ პირველი ეტაპია, რეკონსტრუქციის გეგმაშია აგრეთვე სარბენი ბილიკების საფარის მოწყობა-გარემონტება. სათამაშო საფარის გამოცვლა, რის შემდეგ იგი არ დაიტბორება, განათების სისტემაც გამოიცვლება.

ყველაზე სასიამოვნოა ის, რომ სტადიონზე სასტუმრო იქნება ერთი კომფორტული 22 ორადგილიანი ოთახით, თავისი კვების ბლოკით, აქ იდეალური პირობა შეექმნებათ ფეხბურთელებს, ამოქმედდება სარეაბილიტაციო ცენტრი. მოკლედ, ასეთი პირობები არც ერთ ქართულ კლუბს არ ექნება.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმშენებლობისა და განვითარების ფონდი (პრეზიდენტი ჯამბულ ნინიძე) აწარმოებს.

როგორც ხედავთ, ბათუმის „დინამოს" სტადიონის სპორტული ნაგებობა სანიმუშო იქნება ჩვენს ქვეყანაში, რაც ხელს შეუწყობს ქართული ფეხბურთის განვითარებას.

**ოთარ მურვანიძე,**
ქ. ბათუმი



*სურათზე: სარეკონსტრუქციო სამუშაოები ბათუმის „დინამოს" სტადიონზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.*

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# უმაღლესი ლიგა. IX ტური

## ერთი დღით დაკარგული ისევ დაიბრუნა

**22. ოქტომბერი, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი**
**ლოკომოტ. – კოლხეთი 1913 2-1**

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, გ. კვარაცხელია, ჰიჰვეიშვილი, გოგიჩაიშვილი, რუსია (გილაური 78), დავითაშვილი (პარამონოვი 46), გ. შენგელია (გონჩაროვი 46).
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ქუნთელია, პაპავა, კიკლიაშვილი (მაღლაკელიძე 70), ხუჰუა, ფანჩულიძე, კვირკველია (შავგულიძე 53), ახალკაცი (კრასოვსკი 74), ღლონიძე.
**გოლები:** 0-1, ღლონიძე (38), 1-1 ჰიჰვეიშვილი (65), 2-1 გოგიჩაიშვილი (75).
**გააფრთხილეს:** სილაგაძე (31). რუსია (41), ქუნთელია (44), ფანჩულიძე (58), ხუჰუა (59), ჰიჰვეიშვილი (72).
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

„ლოკომოტივმა“ ძნელი გამარჯვება მოიპოვა და ერთი დღით დაკარგული მეორე ადგილი ისევ დაიბრუნა. „ტორპედოსთან“ სხვაობა კვლავ ექვსი ქულაა. თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, „კოლხეთი“ თბილისიდან ერთი ქულის წაღებაზეც ყაბულს იყო, მაგრამ პირველ ტაიმში მოპოვებული ერთბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და ისევ ცხრილის ბოლოში დარჩა.

მატჩში პირველი სახიფათო მომენტი მე-16 წუთზე შეიქმნა. ჰიჰვეიშვილის თავით დარტყმული ბურთი კოლხების კარს ოდნავ ასცდა. თამაში ძირითადად ცენტრში მიდიოდა, მცირე ტერიტორიული უპირატესობა „ლოკომოტივს“ ჰქონდა, „კოლხეთი“ უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდა, იერიშის ცალკეულ მცდელობებს თუ არ ჩავთვლით. შეტევაში განსაკუთრებული განსწავლულობა არც თბილისელებს გამოუმჟღავნებიათ და პირველი ტაიმი ალბათ ნულოვანი ფრით დასრულდებოდა, რომ არა ერთი ეპიზოდი. 38-ე წუთზე ცენტრში ბურთს ზაველი ღლონიძე დაეუფლა და მეტოქის კარისკენ დაიძრა. გამოცდილმა ფეხბურთელმა, ალბათ, შენიშნა რკინიგზელთა მეკარის უყურადღებობა და ოცდაათი მეტრიდან კარში დაარტყა, ლომაიას „ჩაეძინა“, ბურთი კი „ლოკომოტივის“ კარში მოთავსდა.

თბილისელებს უპირატესობის დასამტკიცებლად მეორე ტაიმის 20 წუთი დასჭირდათ. სტანდარტული სიტუაციების გამოყენებას რომ დიდი ფასი აქვს, ამჯერადაც გამოჩნდა. „კოლხეთის“ კარში პირველი გოლი კუთხურიდან გავიდა. საჯარიმოში შექმნილ ვითარებაში ყველაზე უკეთ ჰიჰვეიშვილი გაერკვა და ანგარიში გაათანაბრა. გოლს „ლოკომოტივის“ ორი სახიფათო შეტევა მოჰყვა და თამაში რამდენიმე ხნით ცალ კარში მიმდინარეობდა, ერთი უტევდა, მეორე თავს იცავდა. მალე მატჩის ბედიც გადაწყდა. ფოთელთა კარისკენ დანიშნული საჯარიმო ჩინებულად გამოიყენა გოგიჩაიშვილმა. რკინიგზელებმა მოიგეს და ჩემპიონატის ფავორიტის სტატუსი შეინარჩუნეს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ IX ტურში ყველა მატჩი ფავორიტთა გამარჯვებით დასრულდა.

**საბა ლომინაძე**







## „დინამომ“ „მერანი“ პირწმინდად „გაკრიჭა“

**თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.**
**„დინამო“ (თბილისი) – „მერანი-91“ (თბილისი) 4-0**
**დინამო:** ჩიხრაძე (ბათიაშვილი, 69), ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ა. სახვაძე (მაზიაშვილი, 65), შაშიაშვილი, ზამთარაძე, დათვაძე (რუხაძე, 65), სიჭინავა, გადელია, ზირაქიშვილი, ჯინჭარაძე.
**მერანი-91:** დევაძე, პოდლესნი, გუჯაბიძე (გ. კვეტენაძე, 46), ცქიფურიშვილი, დევიძე, გოდერძიშვილი, ა. ხორხელი, ჰინჭარაული (კაკუბავა, 50), მინაშვილი, მუხინი, ბოლქვაძე (როსტიაშვილი, 82).
**გოლები:** სიჭინავა (12), დათვაძე (29), ზირაქიშვილი (62,64).
**მსაჯი:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

მერნებს საერთოდ არ კრეჭენ, მაგრამ, ხომ წარმოგიდგენიათ როგორი იქნება გაკრეჭილი რაში? სწორედ ასე გამოიყურებოდა „დინამოსთან“ მატჩის შემდეგ „მერანი-91“. უნდა ითქვას, რომ მასპინძლებმა საკმაოდ იოლად აჯობეს ტრანსპორტელებს. ეს ორი გარემოებით აიხსნება. პირველ რიგში, საკვირველია, გამარჯვებულებს არ უნდა დავუკარგოთ ის შემართება და ტაქტიკური მრავალფეროვნება, რომელიც მათ ამ დღეს გვიჩვენეს. მთელი გუნდი თავდაუზოგავად იბრძოდა, არავითარი ბურთის ზედმეტად ტარება, სამაგიეროდ, უხვად იყო გრძელი გადაცემები, შორიდან კარში დარტყმები (წვიმიან ამინდში შედეგის მოპოვების საუკეთესო საშუალება).

იგივეს ვერ ვიტყვით „მერანზე“ კრიტიკას ვერ უძლებს დაცვითი ხაზი. განსაკუთრებით ხშირად ცდებოდნენ ცენტრალური მცველები, რომლებიც ერთმანეთს არ აზღვევდნენ და აკი ყველაზე ხშირად სტუმართა კართან ხიფათი სწორედ ცენტრიდან იქმნებოდა. მართალია, „მერანის“ მწვრთნელებმა მეორე ტაიმში შეცვლები განახორციელეს, მაგრამ ამან საქმეს არ უშველა, პირიქით, მერანელთა დაცვა სულ „გაირღვა“ და რომ არა მეკარე აკაკი დევაძის თავგანწირული თამაში, ანგარიში სტუმართათვის უფრო კატასტროფული იქნებოდა.

**ჯემალ ჭიკაშვილი**

## ბავშვთა ლიგა

**ზუგდიდი. „ენგურის“ სტადიონი. „ლაზიკა“ – „თბილისი“ 1-2**
**ლაზიკა:** ბიგვავა (სხულუხია); ხუბუნავა, ჭანია, სორდია, რაფავა, გოგოხია, შენგელია, ფიფია, ნარმანია, დარასელია, ანთია.
**თბილისი.** ეჩლიფთარი, როსტომაშვილი, პერანიძე, რაზმაძე (ბორძიკული), ობგაიძე, ბზიკაძე (შვანგირაძე), ბურდილაძე, ხმალაძე, ბობოხიძე (ლაბაძე), გერსამია (თავაძე), ცირამუა (ბაიდარაშვილი).
*გოლები:* 0-1 პერანიძე (16), 0-2 ბობოხიძე (30), 1-2 რაზმაძე (52)
*მსაჯები:* თენგიზ გიორგაძე, თემურ ხუჭუა, კირილე ბერაძე (ყველა – სამტრედია)
*გაფრთხილება:* ბიგვავა (16), ხუბულავა (61).

22 ოქტომბერს „თბილისი“ ზუგდიდს ესტუმრა და ადგილობრივ „ლაზიკასთან“ უშეღავათო ბრძოლა გამართა. შეხვედრა მასპინძლებმა აქტიურად დაიწყს, თუმცა თბილისელი მცველები საკუთარ საჯარიმოსთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ მეტოქეს. თანდათან ტერიტორიული უპირატესობა სტუმრებმა მოიპოვეს და რამდენიმე წუთში ცირამუას მოცელვისათვის დაინიშნა საჯარიმო დარტყმა, რომელიც თვით დაზარალებულმა შეასრულა. ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა, შემდეგ კი პერანიძემ შორეული დარტყმით ბიგვავას მარცხენა მაღალ კუთხეში გაუტანა. ამის შემდეგ თამაშმა მინდვრის ცენტრში გადაინაცვლა, თუმცა სტუმრები უფრო აკონტროლებდნენ ბურთს. თამაშის 28-ე წუთზე ბურდილაძემ ვერ შეძლო მეტოქის კარის დალაშქვრა. ორიოდ წუთში როსტომაშვილის ზუსტ გადაცემას ბობოხიძე გამოეხმაურა და ზუგდიდელები კიდევ ერთხელ გააწბილა. ზუსტად ერთ წუთში ბურდილაძე გადის მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბიგვავამ გააუვნებელჰყო ხიფათი.

შეხვედრის მეორე ნახევარი პირველის ანალოგიურად წარიმართა, გარდამავალი უპირატესობით. ჯერ თამაშის სადავეები სტუმრებმა იგდეს ხელთ, მაგრამ მასპინძელთა კონტრშეტევის დროს ომარ რაზმაძემ თავური დარტყმით ბურთი საკუთარ კარში ჩაჰრა. ამის შემდეგ თამაში უფრო დაიძაბა. ორივე გუნდი ცდილობდა, მაგრამ მეტოქის საჯარიმოში სახიფათოს ვერაფერს ქმნიდა. აი, 67-ე წუთ-ზე კი მასპინძლები სასწაულით გადაურჩნენ მესამე გოლს: ბურდილაძის თავური დარტყმა ძელს მოხვდა და შემდეგ კი მეკარე სხულუხიამ კარის ხაზზე შეაჩერა ბურთი. შეხვედრის დარჩენილი დროც თბილისელთა იერიშებში მიილია, თუმცა ბოლო წუთზე ზუგდიდელმა ფეხბურთელებმაც ვერ ივარგეს და რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს.

**ნინო ცირამუა,**
**ქ. ზუგდიდი**

## კომისია ბავშვთა სკოლებს შეამოწმებს

იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის სკოლებსა და კლუბებში მოიშალა სასწავლო-საწვრთნო მუშაობა, ბავშვთა ფეხბურთში მომრავლდნენ შემთხვევითი მწვრთნელები, სათანადო დონეზე არ დგას აღმზრდელობითი მუშაობა. სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გამოსცა ბრძანება, რომ ბავშვთა და ჭაბუკთა სკოლების სასწავლო-საწვრთნო პროცესის შემოწმებისა და პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ლევან ყიფიანი — თავმჯდომარე, ჯუმბერ თანანაშვილი, ბადრი ქარქაშაძე, ავთანდილ გრეკოვი, გია გეგუჩაძე, ჯემალ მახარაშვილი.. კომისიამ 20 ოქტომბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით უნდა შეამოწმოს შემდეგი საფეხბურთო სკოლები:

20 ოქტომბერს — შევარდენი 1906, 22 ოქტომბერს — ავაზა, 25 ოქტომბერს — ნორჩი დინამოელი, 27 ოქტომბერს — 35-ე სკოლა, 29 ოქტომბერს — მთვარის გლობუსი, 4 ნოემბერს — ირაო, 5 ნოემბერს — ვაკე 91, 8 ნოემბერს — აკადემია, 12 ნოემბერს — სიხარული, 15 ნოემბერს — ბერი, 18 ნოემბერს — თელეთი, 21 ნოემბერს —კავკასიონი, 24 ნოემბერს — ოლიმპიკი, 28 ნოემბერს — მერანი, 4 დეკემბერს — თელავი, 8 დეკემბერს — ბოლნისი, 14 დეკემბერს — თბილისი, 20 დეკემბერს — თბილისი.

შედეგების შესახებ კომისიამ მოხსენება უნდა გააკეთოს სფფ-ს აღმასკომის სხდომაზე.

## I ლიგა. XI ტური

კოლხ. (ხობი) – თორი (ბორჯ.) 0-0
მეტალურგი (ზესტ.) – თბილისი 1-0
ცხინვალი – ოკეანე (სამტრ.) 4-0
მილანი (წნორი) – დინამო (ზუგდ.) 3-1
ლოკ 2-გურია (ლანჩხ.) – სამგურალი (წყალტუბო) 1-0
ივერია (ხაშ.) – შუქურა (ქობ.) 2-1

*პირველი წრის შემდეგ*

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცხინვალი** | **11** | **7** | **1** | **3** | **31-11** | **22** |
| **შუქურა** | **11** | **6** | **2** | **3** | **15-7** | **20** |
| **დინამო (ზ)** | **11** | **6** | **1** | **4** | **18-13** | **19** |
| **მეტალურგი** | **11** | **5** | **3** | **3** | **12-10** | **18** |
| **ლოკ 2-გურ.** | **10** | **5** | **3** | **2** | **11-13** | **18** |
| **სამგურალი** | **11** | **5** | **2** | **4** | **17-10** | **17** |
| თორი | 11 | 5 | 2 | 4 | 12-10 | 17 |
| მილანი | 9 | 5 | 2 | 2 | 9-6 | 17 |
| კოლხ. (ხ) | 11 | 3 | 4 | 4 | 7-9 | 13 |
| თბილისი | 11 | 2 | 1 | 8 | 4-19 | 7 |
| ოკეანე | 11 | 1 | 3 | 7 | 8-22 | 6 |
| ივერია | 10 | 1 | 2 | 7 | 5-19 | 5 |

## ტექნიკური შედეგები

### დინამო (ბათუმი) – დილა (გორი) 3-0

**დინამო:** ბედიაშვილი, ჩიჩუა, მინდაძე, მჟავანაძე, ბახტაძე (თედორაძე, 46), გელა ქორიძე, ღლონტი, დარჩიძე, ყულეჯიშვილი, აფხაზავა (სიხარულიძე, 68), ა. მუჯირი (რომანაძე, 63).
**დილა:** თ. ილურიძე, აკოფიანი, გრიგალაშვილი, გაგნიძე (ა. ხმალაძე, 63), ლ. გოჩაშვილი, ლომიძე (საყვარელიძე, 70), ფეზუაშვილი, კოტორაშვილი, რევაზიშვილი, ციცქიშვილი (დ. მაისურაძე, 65), ხორგუაშვილი.
*გოლები:* მუჯირი (56), აფხაზავა (60), ყულეჯიშვილი (68).
*გააფრთხილეს:* თედორაძე, მუჯირი, ლომიძე, ფეზუაშვილი.
*მსაჯი:* კ. მესხი.

### თსუ – ვიტ ჯორჯია (თბილისი) 1-4

**თსუ:** მამარდაშვილი, ხარებავა, ებრალიძე, ე. ალადაშვილი (ლაბაძე, 58), სვანაძე, გოცირიძე, წუწუნავა, ახალაძე (ადამია, 59), მესხი, ერაძე (არეშიძე, 74), ვადაჭკორია.
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ჯ. მუჯირი, ჰანკოტაძე, კობიაშვილი, საჯაია, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, დ. დოლიძე, დეკანოსიძე (გვაზავა, 73), ლ. მელქაძე (ვ. გოჩაშვილი, 54), გიორგი ქორიძე (სულთანიშვილი, 63).
*გოლები:* 0-1 ქორიძე (8), 0-2 დეკანოსიძე (50), 0-3 დილმელაშვილი (51), 0-4 გოჩაშვილი (75), 1-4 წუწუნავა (88, პენ.)
*გააფრთხილეს:* დოლიძე, სვანაძე, ხარებავა, სულთანიშვილი, მესხი.
*მსაჯი:* ა. ორდინიძე (ონი).

### ტორპედო (ქუთაისი) – გორდა (რუსთავი) 2-0

**ტორპედო:** ზოიძე, იონანიძე, კვეტენაძე (შეყრილაძე, 86), შალამბერიძე, ჩხეტიანი, თურმანიძე, გუჩუა, ბობოხიძე (ასათიანი, 56), ახვლედიანი, (თავბერიძე, 89), იმედაძე, ხვადაგიანი.
**გორდა:** ნიკურაძე, გაბ...აია, ბექაური, ბურნაძე, ბერიძე, მელაძე, კ. ალადაშვილი, (ბაჩილავა, 82), ზურაბ ლაბაძე, ბუკია (კიტეიშვილი, 46), მიშველიძე, სილაგაძე (ივეჩიანი, 27).
*გოლები:* იონანიძე (40), ასათიანი (80).
*გააფრთხილეს:* მელაძე, იმედაძე, გაბელაია.
*მსაჯი:* ზ. ანიაშვილი (გორი).

### სიონი (ბოლნისი) – იბერია (სამტრედია) 1-0

**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიშვილი (გამცემლიძე, 84), მოსეშვილი, მინდიაშვილი (კ. მეტრეველი, 46), ბარნოვი, სოლოღაშვილი, ისიანი (დ. ჯაფარიძე, 90), წივწივაძე.
**იბერია:** ვარდანიძე, ქვანია, ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, გიორგაძე, ხმალაძე, ბიწაძე, ონიანი, ოდიკაძე, გიგიაძე.
*გოლი:* მოსეშვილი (61).
*გააფრთხილეს:* ქვანია, სანიკიძე, ოდიკაძე, ასპინძელაშვილი, ბიწაძე, ირემაშვილი.
*მსაჯი:* მ. მალალურაძე (თბილისი).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | **9** | **9** | **0** | **0** | **17-2** | **27** |
| **ლოკომოტ.** | **9** | **7** | **0** | **2** | **21-6** | **21** |
| **ვიტ ჯორჯია** | **9** | **6** | **2** | **1** | **15-4** | **20** |
| **დინამო (თბ)** | **9** | **5** | **1** | **3** | **14-12** | **16** |
| **მერანი** | **9** | **3** | **3** | **3** | **11-13** | **12** |
| **გორდა** | **9** | **2** | **5** | **2** | **9-14** | **11** |
| თსუ | 9 | 3 | 1 | 5 | 12-18 | 10 |
| სიონი | 9 | 3 | 1 | 5 | 7-8 | 10 |
| კოლხ. 1913 | 9 | 3 | 0 | 6 | 10-13 | 9 |
| დინამო (ბთ) | 9 | 3 | 0 | 6 | 10-13 | 9 |
| დილა | 9 | 2 | 2 | 5 | 8-17 | 8 |
| იბერია | 9 | 0 | 1 | 8 | 1-15 | 1 |

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის თვალსაჩინო მოჭირნახულე და ერთგული თანამდგომი, სფფ-ს სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარე**

**თემურ ნამიჭეიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს გაზეთ „11X11“-ის რედაქტორს ვასილ ტალახაძეს მეუღლისა და ვაჟიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთი: ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები...

## გერმანია
**ბუნდესლიგა. IX ტური**

კაიზერსლაუტერნი – ვერდერი 2-0
ბაიერნი – მიუნხენი 1860 3-1
ლევერკუზენი – დორტმუნდი 2-0
ფრაიბურგი – შალკე 3-1
შტუტგარტი – უნტერჰახინგი 2-2
ვოლსბურგი – კიოლნი 6-0
ბოხუმი – ჰანზა 1-2
ჰერტა – კოტბუსი 3-1
ჰამბურგი – აინტრახტი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 9 | 6 | 0 | 3 | 19-9 | 18 |
| ჰერტა | 9 | 6 | 0 | 3 | 23-14 | 18 |
| შალკე | 9 | 5 | 2 | 2 | 20-8 | 17 |
| დორტმუნდი | 9 | 5 | 1 | 3 | 14-14 | 16 |
| ჰამბურგი | 9 | 4 | 3 | 2 | 21-17 | 15 |
| ლევერკუზ. | 9 | 4 | 3 | 2 | 13-11 | 15 |
| ვოლსბურგი | 9 | 4 | 2 | 3 | 23-14 | 14 |
| კაიზერი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-8 | 14 |
| ჰანზა | 9 | 4 | 1 | 4 | 6-13 | 13 |
| ფრაიბურგი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-8 | 12 |
| მიუნხენი 1860 | 9 | 3 | 3 | 3 | 12-15 | 12 |
| აინტრახტი | 9 | 3 | 2 | 4 | 11-14 | 11 |
| შტუტგარტი | 9 | 2 | 4 | 3 | 14-17 | 10 |
| ბოხუმი | 9 | 3 | 1 | 5 | 8-17 | 10 |
| ვერდერი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-14 | 9 |
| კიოლნი | 9 | 2 | 2 | 5 | 12-19 | 8 |
| კოტბუსი | 9 | 2 | 1 | 6 | 9-20 | 7 |
| უნტერჰახ. | 9 | 1 | 3 | 5 | 9-18 | 6 |

## იტალია
**სერია A. III ტური**

ბარი – ატალანტა 0-2
ბრეშია – ფიორენტინა 1-1
მილანი – იუვენტუსი 2-2
ნაპოლი – ბოლონია 1-5
პერუჯა – პარმა 3-1
რეჯინა – ლეჩე 0-1
რომა– ვიჩენცა 3-1
უდინეზე – ინტერი 3-0
ვერონა – ლაციო 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 3 | 3 | 0 | 0 | 9-1 | 9 |
| უდინეზე | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 7 |
| იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| ატალანტა | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| ბოლონია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| ვერონა | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| ფიორენტინა | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| პერუჯა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| ლეჩე | 3 | 1 | 1 | 1 | 2-5 | 4 |
| რეჯინა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| ინტერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| ბრეშია | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| პარმა | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| ბარი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| ვიჩენცა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |
| ნაპოლი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-10 | 0 |

## ნორვეგია
**XXVI ტური**

ჰაუგესუნდი – ლილესტრიომი 1-0
ბრინი – ოდ გრენლანდი 1-0
მოსი – რუსენბორგი 1-1
ვოლერენგა – სტარტი 3-0
ბოდო გლიმტი – ტრომსო 1-4
ბრანი – მიოლდე 4-0
სტაბეკი – ვიკინგი 1-1

*საბოლოო ცხრილი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 26 | 16 | 6 | 4 | 61-26 | 54 |
| ბრანი | 26 | 14 | 5 | 7 | 53-40 | 47 |
| ვიკინგი | 26 | 13 | 6 | 7 | 51-39 | 45 |
| ტრომსო | 26 | 13 | 5 | 8 | 51-46 | 44 |
| სტაბეკი | 26 | 12 | 6 | 8 | 59-33 | 42 |
| ლილესტრ. | 26 | 11 | 7 | 8 | 42-29 | 40 |
| მიოლდე | 26 | 11 | 7 | 8 | 46-47 | 40 |
| ოდ გრელან. | 26 | 11 | 5 | 10 | 40-31 | 38 |
| მოსი | 26 | 8 | 8 | 10 | 38-44 | 32 |
| ბოდო | 26 | 6 | 10 | 10 | 48-59 | 28 |
| ბრინი | 26 | 7 | 6 | 13 | 32-60 | 27 |
| ვოლერენგა | 26 | 5 | 9 | 12 | 32-44 | 24 |
| სტარტი | 26 | 5 | 6 | 15 | 40-66 | 21 |
| ჰაუგესუნდი | 26 | 5 | 4 | 17 | 33-62 | 19 |



ფიგუს ბარსელონაში ჯოჯოხეთი დახვდა

## ესპანეთი
**პრიმერადივიზიონი. VI ტური**

რაიო ვალეკანო – სოსიედადი 4-1
ალავესი – ესპანიოლი 1-0
ოვიედო – სელტა 3-1
ვალიადოლიდი – ოსასუნა 1-1
ვალენსია – სარაგოსა 1-0
მალაგა – ვილიარეალი 2-1
ბილბაო – ლას პალმასი 0-3
რასინგი – ნუმანსია 4-2
დეპორტივო – მალიორკა 1-1
ბარსელონა – რეალი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 6 | 4 | 1 | 1 | 15-4 | 13 |
| რაიო | 6 | 3 | 3 | 0 | 14-4 | 12 |
| ბარსელონა | 6 | 4 | 0 | 2 | 14-7 | 12 |
| რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 12-7 | 11 |
| ალავესი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-4 | 11 |
| დეპორტივო | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 11 |
| სელტა | 6 | 3 | 1 | 2 | 9-8 | 10 |
| ლას პალმასი | 6 | 2 | 2 | 2 | 9-12 | 8 |
| ვალიადოლ. | 6 | 1 | 5 | 0 | 5-3 | 8 |
| ოვიედო | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| ვილიარეალი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-8 | 8 |
| მალაგა | 6 | 2 | 1 | 3 | 9-11 | 7 |
| ატლეტიკო | 6 | 2 | 1 | 3 | 6-11 | 7 |
| ნუმანსია | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 7 |
| ოსასუნა | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 6 |
| რასინგი | 6 | 1 | 2 | 3 | 8-12 | 5 |
| მალიორკა | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |
| სოსიედადი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-18 | 5 |
| ესპანიოლი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-7 | 4 |
| სარაგოსა | 6 | 0 | 3 | 3 | 4-7 | 3 |

## ბელგია
**I დივიზიონი. X ტური**

სტანდარდი – შარლერუა 4-0
ლალოვიერი – ბევერენი 2-3
ბეერსხოტი – ვესტერლო 3-1
მეჰელენი – აალსტი 4-1
გენკი – ჰარელბეკი 4-0
გენტი – ლიერსი 2-3
მუსკრონი – ანდერლეხტი 1-2
ლოკერენი – ანტვერპენი 0-1
ბრიუგე – სტატრუიდენი 5-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 10 | 10 | 0 | 0 | 39-8 | 30 |
| ანდერლეხ. | 10 | 8 | 2 | 0 | 31-12 | 26 |
| სტანდარდი | 10 | 7 | 1 | 2 | 31-12 | 22 |
| ლიერსი | 10 | 6 | 1 | 3 | 21-14 | 19 |
| შარლერუა | 10 | 6 | 0 | 4 | 18-20 | 18 |
| ვესტერლო | 10 | 5 | 2 | 3 | 19-18 | 17 |
| მუსკრონი | 10 | 5 | 1 | 4 | 22-12 | 16 |
| გენტი | 10 | 5 | 1 | 4 | 23-20 | 16 |
| ბეერსხოტი | 10 | 5 | 0 | 5 | 18-17 | 15 |
| გენკი | 9 | 3 | 4 | 2 | 14-10 | 13 |
| ლოკერენი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-12 | 13 |
| ბევერენი | 10 | 3 | 2 | 5 | 8-18 | 11 |
| ანტვერპენი | 9 | 3 | 0 | 6 | 8-15 | 9 |
| ჰარელბეკი | 10 | 2 | 1 | 7 | 13-31 | 7 |
| სტ. ტრუიდ. | 10 | 1 | 3 | 6 | 9-20 | 6 |
| ლუვიე | 10 | 1 | 3 | 6 | 8-21 | 6 |
| მეჰელენი | 10 | 1 | 2 | 7 | 14-26 | 5 |
| აალსტი | 10 | 1 | 1 | 8 | 7-29 | 4 |

## დანია
**XIII ტური**

ორჰუსი – ლიუნგბიუ 5-2
ბრონდბიუ – აკადემისკი 4-2
ჰერფიოლგე – ოდენსე 1-1
მიდტიულანდი – კოპენჰაგენი (23.10)
სილკებორგი – ჰადერსლევი 0-0
ვიბორგი – ოლბორგი 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 13 | 8 | 2 | 3 | 37-15 | 26 |
| მიდტიულ. | 12 | 7 | 3 | 2 | 21-12 | 24 |
| სილკებორგი | 13 | 6 | 6 | 1 | 16-14 | 24 |
| ლიუნგბიუ | 13 | 8 | 0 | 5 | 23-23 | 24 |
| კოპენჰაგენი | 12 | 7 | 2 | 3 | 18-7 | 23 |
| ვიბორგი | 13 | 5 | 4 | 4 | 17-10 | 19 |
| ოდენსე | 13 | 5 | 2 | 6 | 20-14 | 17 |
| ოლბორგი | 13 | 5 | 2 | 6 | 19-21 | 17 |
| აკადემისკი | 13 | 3 | 4 | 6 | 18-21 | 13 |
| ორჰუსი | 13 | 4 | 1 | 8 | 17-28 | 13 |
| ჰერფიოლგე | 13 | 3 | 3 | 7 | 16-28 | 12 |
| ჰადერსლევი | 13 | 0 | 3 | 10 | 11-40 | 3 |

## შვეიცარია
**I დივიზიონი. XV ტური**

არაუ – ლუცერნი 3-3
გრასჰოპერსი – ბაზელი 1-2
ლუგანო – ლოზანა 2-2
სერვეტი – სიონი 0-1
სტ. გალენი – ციურიხი 2-0
ივერდონი – ქსამარქსი 4-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 15 | 9 | 4 | 2 | 25-10 | 31 |
| სენტ გალენი | 15 | 7 | 6 | 2 | 25-12 | 27 |
| გრასჰოპერსი | 15 | 8 | 2 | 5 | 35-13 | 26 |
| ლოზანა | 15 | 8 | 2 | 5 | 28-22 | 26 |
| ბაზელი | 15 | 7 | 4 | 4 | 29-21 | 25 |
| სერვეტი | 15 | 5 | 6 | 4 | 21-17 | 21 |
| სიონი | 14 | 5 | 3 | 6 | 15-24 | 18 |
| ციურიხი | 15 | 3 | 7 | 5 | 23-20 | 16 |
| არაუ | 15 | 4 | 4 | 7 | 19-29 | 16 |
| ივერდონი | 14 | 4 | 3 | 7 | 19-26 | 15 |
| ლუცერნი | 15 | 4 | 3 | 8 | 21-35 | 15 |
| ქსამაქსი | 15 | 2 | 2 | 11 | 14-45 | 8 |

## შვედეთი
**XXIV ტური**

ჰელსინგბორგი – ელფსბორგი 1-1
გიოტებორგი – ტრელებორგი 3-0
სუნდსვალი – ჰეკენი 3-3
გაის – ჰამარბი (23.10)
ნორჩოპინგი – იორგრიტე (23.10)
ფრიოლუნდა – იორებრო (23.10)
აიკ – ჰალმსტადი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 24 | 15 | 4 | 4 | 44-22 | 49 |
| აიკ | 24 | 13 | 4 | 7 | 35-27 | 43 |
| ელსბორგი | 24 | 13 | 3 | 8 | 42-34 | 42 |
| ჰელსინბორგი | 24 | 12 | 4 | 8 | 45-29 | 40 |
| გიოტებორგი | 24 | 10 | 8 | 6 | 38-30 | 38 |
| იორგრიტე | 23 | 11 | 3 | 9 | 29-25 | 36 |
| ტრელებორგი | 24 | 8 | 8 | 8 | 25-27 | 32 |
| ნორჩეპინგი | 23 | 7 | 10 | 6 | 37-26 | 31 |
| იორებრო | 29 | 8 | 6 | 9 | 37-35 | 30 |
| ჰამარბი | 23 | 8 | 6 | 9 | 28-34 | 30 |
| სუნდსვალი | 24 | 6 | 8 | 10 | 31-38 | 26 |
| ჰეკენი | 24 | 4 | 12 | 8 | 36-44 | 24 |
| გაის | 23 | 3 | 8 | 12 | 21-37 | 17 |
| ფრიოლუნდა | 23 | 2 | 6 | 15 | 15-55 | 12 |

## თურქეთი
**IX ტური**

გენჩლერბირ. – ბურსასპორი 0-1
ადანა – ფენერბახჩე 1-1
იოზგათი – ტრაბზონსპორი 1-1
ბეშიქთაში – გალათასარაი 3-1
იეთფა – ერზურუმი 1-1
ისტანბული – სამსუნი 0-0
რიზე – ანკარა 1-1
ანთალია – გაზიანთეფი 2-2
დენიზლი – ქოჩაელი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონსპ. | 9 | 6 | 2 | 1 | 17-7 | 20 |
| გალათასარაი | 9 | 6 | 1 | 2 | 25-9 | 19 |
| ბეშიქთაში | 9 | 6 | 1 | 2 | 21-11 | 19 |
| ფენერბახჩე | 9 | 6 | 1 | 2 | 17-10 | 19 |
| გაზიანთეფი | 9 | 5 | 3 | 1 | 22-11 | 18 |
| გენჩლებირ. | 9 | 5 | 1 | 3 | 12-11 | 16 |
| დენიზლისპ. | 9 | 4 | 2 | 3 | 13-13 | 14 |
| ანთალიასპ. | 9 | 3 | 4 | 2 | 13-10 | 13 |
| სამსუნსპორი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-12 | 12 |
| ისთანბულსპ. | 9 | 3 | 3 | 3 | 9-13 | 12 |
| ანკარაგიურ. | 9 | 3 | 3 | 3 | 10-14 | 12 |
| ადანასპორი | 9 | 2 | 4 | 3 | 15-14 | 10 |
| იოზგათსპ. | 9 | 2 | 3 | 4 | 9-12 | 9 |
| ერზურუმსპ. | 9 | 2 | 2 | 5 | 12-19 | 8 |
| რიზესპორი | 9 | 1 | 4 | 4 | 6-9 | 7 |
| ბურსასპორი | 9 | 1 | 3 | 5 | 8-20 | 6 |
| ქოჩაელსპ. | 9 | 1 | 1 | 7 | 5-16 | 4 |
| იეთფასპორი | 9 | 0 | 3 | 6 | 11-25 | 3 |



## ინგლისი
**პრემიერლიგა. X ტური**

ასტონ ვილა – სანდერლენდი 0-0
ბრედფორდი – იფსვიჩი 0-2
ჩარლტონი – მიდლსბრო 1-0
ჩელსი – ქოვენთრი 6-1
ლივერპული – ლესტერი 1-0
მანჩესტერ იუნ. – ლიდსი 3-0
ნიუკასლი – ევერტონი 0-1
საუთჰემპ. – მანჩესტერ სიტი (23.X).
ტოტენჰემი – დერბი 3-1
ვესტ ჰემი – არსენალი 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩ. იუნ. | 10 | 6 | 3 | 1 | 26-8 | 21 |
| არსენალი | 10 | 6 | 3 | 1 | 17-10 | 21 |
| ლივერპული | 10 | 5 | 3 | 2 | 17-13 | 18 |
| ნიუკასლი | 10 | 5 | 1 | 4 | 11-9 | 16 |
| ლესტერი | 10 | 4 | 4 | 2 | 7-6 | 16 |
| იფსვიჩი | 10 | 4 | 3 | 3 | 14-11 | 15 |
| ჩარლტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-16 | 15 |
| ტოტენჰემი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-14 | 14 |
| ლიდსი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-13 | 14 |
| ჩელსი | 10 | 3 | 4 | 3 | 19-14 | 13 |
| ასტონ ვილა | 9 | 3 | 4 | 2 | 11-8 | 13 |
| სანდერლ. | 10 | 3 | 4 | 3 | 8-11 | 13 |
| ევერტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 13-16 | 12 |
| მანჩ. სიტი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-14 | 11 |
| ქოვენთრი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-21 | 11 |
| მიდლსბრო | 10 | 2 | 4 | 4 | 15-16 | 10 |
| საუთჰემპ. | 9 | 2 | 4 | 3 | 12-13 | 10 |
| ვესტ ჰემი | 10 | 1 | 5 | 4 | 12-14 | 8 |
| ბრედფორდი | 10 | 1 | 3 | 6 | 4-16 | 6 |
| დერბი | 10 | 0 | 5 | 5 | 15-26 | 5 |



„ვერონა“ — „ლაციო“ 2-0. ვერონამ (№13) და ნედვედმა (№18) „ლაციო“ ვერ იხსნეს

## შოტლანდია
**XII ტური**

აბერდინი – დანფერმლაინი 0-0
სელტიკი – დანდი იუნ. 2-1
დანდი – მოზერუელი 1-2
კილმარნოკი – სტ. მირენი 2-1
სტ. ჯონსტონი – რეინჯერსი 2-1
ჰიბერნიანი – ჰარტსი 6-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 12 | 11 | 1 | 0 | 28-9 | 34 |
| ჰიბერნიანი | 12 | 9 | 2 | 1 | 26-7 | 29 |
| კილმარნოკი | 12 | 7 | 2 | 3 | 16-12 | 23 |
| რეინჯერსი | 11 | 7 | 1 | 3 | 22-15 | 22 |
| დანდი | 12 | 4 | 4 | 4 | 15-12 | 16 |
| ჰართსი | 12 | 4 | 4 | 4 | 19-17 | 16 |
| სტ. ჯონსტ. | 12 | 3 | 5 | 4 | 11-18 | 14 |
| აბერდინი | 11 | 2 | 6 | 3 | 11-13 | 12 |
| მოზერველი | 12 | 3 | 2 | 7 | 11-16 | 11 |
| დანფერმლ. | 12 | 2 | 4 | 6 | 8-17 | 10 |
| სენტ მირენი | 12 | 2 | 1 | 9 | 7-18 | 7 |
| დანდი იუნ. | 12 | 0 | 2 | 10 | 7-27 | 2 |

## პორტუგალია
**VIII ტური**

ბელენენსეში – ბრაგა (გვიან დამთ.)
ფერეირა – ბენფიკა 0-0
კამპომაიორესე – ბოავიშტა 0-0
მარიტიმუ – ამადორა 2-0
ფარენსე – ლეირია 1-1
გიმარაეში – ბეირა მარი 1-1
სპორტინგი – პორტუ 0-1
ალვერკა – ავეში 5-1
ჟილ ვისენტე – სალგეირუში 0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 8 | 7 | 0 | 1 | 16-4 | 21 |
| სალგეირუში | 8 | 6 | 0 | 2 | 13-8 | 18 |
| ბრაგა | 7 | 5 | 2 | 0 | 13-7 | 17 |
| სპორტინგი | 8 | 5 | 1 | 2 | 16-9 | 16 |
| ბოავიშტა | 8 | 4 | 3 | 1 | 13-16 | 15 |
| ფერეირა | 8 | 4 | 1 | 3 | 14-8 | 13 |
| მარიტიმო | 8 | 4 | 1 | 3 | 7-5 | 13 |
| ბელენენსე | 7 | 3 | 3 | 1 | 10-6 | 12 |
| ბენფიკა | 8 | 3 | 3 | 2 | 10-8 | 12 |
| ფარენსე | 8 | 3 | 2 | 3 | 9-9 | 11 |
| ლეირია | 8 | 2 | 4 | 2 | 8-12 | 10 |
| ალვერკა | 8 | 2 | 3 | 3 | 11-11 | 9 |
| გიმარაეში | 8 | 2 | 2 | 4 | 11-14 | 8 |
| ავეში | 8 | 1 | 2 | 5 | 12-19 | 5 |
| კამპომაიორ. | 8 | 0 | 5 | 3 | 6-16 | 5 |
| ამადორა | 8 | 1 | 1 | 6 | 6-13 | 4 |
| ბეირა-მარი | 8 | 0 | 3 | 5 | 9-18 | 3 |
| ჟილ.ვისენტე | 8 | 0 | 2 | 6 | 3-14 | 2 |

## ჰოლანდია
**I დივიზიონი. IX ტური**

აიაქსი – როდა 4-2
ფეიენოორდი – ჰერენვენი 2-0
გრააფსხაპი – ტილბურგი 1-1
ტვენტე – სპარტა 3-1
აზ-67 – ვიტესი 0-2
გრონინგენი – სიტარდი 4-0
უტრეხტი – როზენდალი 5-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტესი | 9 | 7 | 1 | 1 | 23-12 | 22 |
| ფეიენოორდი | 6 | 6 | 0 | 0 | 16-5 | 18 |
| აიაქსი | 9 | 4 | 2 | 3 | 20-14 | 14 |
| ეინდჰოვენი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-6 | 14 |
| ბრედა | 8 | 4 | 1 | 3 | 15-9 | 13 |
| ტილბურგი | 8 | 3 | 4 | 1 | 16-11 | 13 |
| ტვენტე | 9 | 3 | 4 | 2 | 16-14 | 13 |
| როდა | 7 | 3 | 3 | 1 | 16-12 | 12 |
| ნაიმეგენი | 8 | 2 | 6 | 0 | 13-9 | 12 |
| ვალვაიკი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-9 | 12 |
| გრონინგენი | 10 | 3 | 2 | 5 | 13-19 | 11 |
| უტრეხტი | 8 | 3 | 1 | 4 | 16-18 | 10 |
| გრააფსხაპი | 9 | 3 | 1 | 5 | 15-18 | 10 |
| ჰერენვენი | 7 | 2 | 3 | 2 | 9-10 | 9 |
| აზ-67 | 8 | 3 | 0 | 5 | 13-18 | 9 |
| სპარტა | 8 | 1 | 1 | 6 | 13-23 | 4 |
| როზენდალი | 9 | 1 | 0 | 8 | 14-26 | 3 |
| სიტარდი | 7 | 0 | 2 | 5 | 3-20 | 2 |

## საფრანგეთი
**I დივიზიონი. XII ტური**

ბორდო –ლიონი 1-1
გინგამი – სტრასბურგი (გადაიდო)
ლანსი – სედანი 1-1
მარსელი – ლილი
მონაკო – ოსერი 1-1
ნანტი – რენი 1-0
სტ. ეტიენი – მეცი 2-0
ტულუზა – პ.ს.ჟ. 2-3
ტრუა – ბასტია 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პ.ს.ჟ. | 12 | 7 | 3 | 2 | 26-16 | 24 |
| ბასტია | 12 | 6 | 2 | 4 | 15-12 | 20 |
| მონაკო | 12 | 5 | 4 | 3 | 19-15 | 19 |
| ბორდო | 12 | 4 | 5 | 3 | 17-13 | 17 |
| სედანი | 12 | 5 | 4 | 3 | 16-14 | 19 |
| ლილი | 12 | | | | | |
| ტრუა | 12 | 4 | 5 | 3 | 17-15 | 17 |
| ლანსი | 12 | 4 | 5 | 3 | 12-12 | 17 |
| რენი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-11 | 15 |
| ნანტი | 12 | 5 | 3 | 4 | 19-17 | 18 |
| გინგამი | 11 | 4 | 3 | 4 | 13-13 | 15 |
| მეცი | 12 | 4 | 3 | 5 | 10-13 | 15 |
| ლიონი | 11 | 3 | 6 | 2 | 12-10 | 15 |
| მარსელი | 12 | | | | | |
| ოსერი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-14 | 14 |
| სენტ-ეტიენი | 12 | 3 | 4 | 5 | 19-22 | 13 |
| სტრასბურგი | 11 | 3 | 1 | 7 | 10-27 | 10 |
| ტულუზი | 11 | 1 | 3 | 7 | 10-17 | 6 |

## ავსტრია
**XV ტური**

ადმირა – ზალცბურგი 2-0
აუსტრია – ტიროლი 0-2
ბრეგენცი – ლინცერი 2-2
გრაცერი – რაპიდი 2-0
რიდი – შტურმი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 15 | 8 | 4 | 3 | 28-16 | 28 |
| ტიროლი | 15 | 8 | 3 | 4 | 25-13 | 27 |
| აუსტრია | 14 | 7 | 4 | 3 | 24-11 | 25 |
| გრაცერი | 15 | 7 | 3 | 5 | 24-22 | 24 |
| ზალცბურგი | 15 | 7 | 2 | 6 | 21-22 | 23 |
| რიდი | 15 | 6 | 4 | 5 | 27-21 | 22 |
| შტურმი | 15 | 6 | 2 | 7 | 27-21 | 20 |
| ბრეგენცი | 14 | 4 | 4 | 6 | 19-22 | 16 |
| ლინცერი | 15 | 3 | 3 | 9 | 14-34 | 12 |
| ადმირა | 15 | 2 | 3 | 10 | 11-38 | 9 |

## რუსეთი
**უმაღლესი ლიგა. XXVIII ტური**

ალანია – ლოკომოტივი (მ) 0-0
როსტსელმაში – კრილია სოვეტოვი 2-0
ჩერნომორეცი– როტორი 3-0
დინამო – ლოკომოტივი (ნ.ნ.) 3-1
სატურნი – ანჟი 0-0
ტორპედო – ფაკელი 2-0
ურალანი – ცსკა 1-5
ზენიტი – სპარტაკი (8 ნოემბერს)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 27 | 20 | 1 | 6 | 64-28 | 61 |
| ლოკომ. (მ) | 28 | 17 | 8 | 3 | 38-16 | 59 |
| ანჟი | 28 | 14 | 7 | 7 | 41-28 | 49 |
| ტორპედო | 28 | 14 | 7 | 7 | 39-28 | 49 |
| დინამო | 28 | 13 | 8 | 7 | 44-34 | 47 |
| ჩერნომორეცი | 28 | 12 | 10 | 6 | 44-26 | 46 |
| ზენიტი | 27 | 12 | 7 | 8 | 34-23 | 43 |
| ცსკა | 28 | 11 | 5 | 12 | 41-35 | 38 |
| ალანია | 28 | 10 | 8 | 10 | 31-33 | 38 |
| სატურნი | 28 | 9 | 9 | 10 | 25-29 | 36 |
| როტორი | 28 | 8 | 8 | 12 | 34-50 | 32 |
| როსტსელმ. | 28 | 6 | 13 | 9 | 23-25 | 31 |
| ფაკელი | 28 | 6 | 10 | 12 | 24-44 | 28 |
| კრ.სოვეტოვი | 28 | 6 | 5 | 17 | 23-45 | 23 |
| ლოკომ.(ნ.ნ.) | 28 | 3 | 8 | 17 | 16-43 | 17 |
| ურალანი | 28 | 2 | 6 | 20 | 17-51 | 12 |

საზღვარგარეთის ფეხბურთი: ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები...

# მაღალი შედეგიანობა

## გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა

თუ გერმანიის ბოლო ორი პირველობა მიუნხენის „ბაიერნის“ უპირატესობის ნიშნით ხასიათდებოდა, ახლა მას ჩემპიონობისათვის ბრძოლაში ბევრი მეტოქე გამოუჩნდა. ხუმრობა ხომ არ არის – პირველ 9 ტურში, თუმცა ლიდერთა ჯგუფშია, „ბაიერნმა“ უკვე წააგო 3 მატჩი! ეს მას ადრე მთელ წრეშიც კი არ მოსვლია.

მას შემდეგ, რაც ჩემპიონმა მოიგო პირველი 3 მატჩი, რა თქმა უნდა, დიდი მოულოდნელობა არ იყო მისი მარცხი (1-2) ტრადიციულ რთულ მეტოქე „შტუტგარტთან“, რომლის შემადგენლობაში ბრწყინვალედ ითამაშა თითქოს „ჩამოწერილმა“ 34 წლის ბულგარელმა გამთამაშებელმა კრასიმირ ბალაკოვმა. მით უმეტეს, რომ მეხუთე ტურში „ბაიერნმა“ კვლავ მოიგო (3-1), თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი ქალაქის გარეუბნის კლუბ „უნტერჰახინგთან“, გაიმარჯვა მეექვსეშიც სტუმრად (2-1) „კიოლნთან“. აი, ამას მოჰყვა წაგება მომდევნო ტურში (0-1) და თანაც საკუთარ „ოლიმპიაშტადიონზე“ როსტოკის „ჰანზასთან“, რომელიც თამაშის ძალით, რა თქმა უნდა, ჩემპიონს აშკარად ჩამოუვარდება. „ბაიერნის“ ხელმძღვანელები შეეცადნენ აეხსნათ ეს მარცხი. მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰითცფელდმა განაცხადა, რომ ასეთი რამ საკმაოდ ხშირად ხდება: „როცა გუნდი, რომელსაც თავიდან სათამაშო უპირატესობის მოპოვების პრეტენზია არა აქვს, ანგარიშის გახსნას ახერხებს, შემდეგ იგი უკან იხევს და მთელი ძალით იცავს თავს. ასეთი ტოტალური დაცვის გარღვევა მეტად ძნელია“. რაც შეეხება კლუბის პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს, მისი აზრით, „ეს დამარცხება არავითარ შემთხვევაში არ მიუთითებს კლუბის პრობლემებზე. პატარა ჩავარდნა შეიძლება ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე ძლიერ კლუბსაც მოუვიდეს. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენ მალე ნახავთ „ბაიერნის“ მძლავრ თამაშს“.

შესაძლოა, მართლაც მალე ვნახოთ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მერვე ტურში პირველ ადგილზე მყოფმა „ბაიერნმა“, მართლაც რომ გაუგონარი მარცხი იგემა კოტბუსის „ენერგისთან“ (0-1), რომელიც იმ მომენტში ბოლო, მე-18 ადგილზე იყო. ეს კი, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ არის სახუმარო ამბავი.



ლევან კობიაშვილი



ალექსანდრე იაშვილი



ლევან ცქიტიშვილი

გასულ სეზონთან შედარებით მიუნხენელთა კლუბის შემადგენლობა დიდად არ შეცვლილა. თუ კლუბი დატოვეს თავისუფალი აგენტის უფლებების მქონე ცნობილმა მცველმა მარკუს ბაბელმა (გადავიდა „ლივერპულში“) და, დიდი ამბავი ხომ არ არის, მესამე მეკარე სვენ შოიერმა (ახლა თურქულ „ადანასპორში“ გამოდის), სამაგიეროდ, ბაბელი შეიცვალა მაღალი კლასის ფრანგი მცველით ვილი სანიოლით (რომლისთვისაც კლუბმა „მონაკოს“ 15 მილიონი მარკა გადაუხადა) და კიდევ ერთ ცნობილ მცველ ჩირიაკო სფორცათი (12,8 მილიონი მარკა „კაიზერს-ლაუტერნს“). „ბაიერნის“ ხელმძღვანელობა ახლა უჩივის ტრავმებს და გამოთქვამს იმედს, რომ ყველა მათგანის მწყობრში ჩადგომის შემდეგ გუნდი ისევ დაამტკიცებს უპირატესობას სხვებთან შედარებით.

ახლა კი ზოგი რამ ლიდერთა ჯგუფის სხვა წარმომადგენლებზე.

წინა ჩემპიონატში გელზენკირხენის „შალკე 04“ მეტად უფერულად გამოიყურებოდა. ამიტომ გადაიდგა ნაბიჯები მის გასაძლიერებლად და თანაც განსაკუთრებული დანახარჯების გარეშე. კლუბში, როგორც თავისუფალი აგენტი, მოვიდა ანდრეას (ენდი) მიოლერი, ფეხბურთის სამყაროში კარგად ცნობილი ნახევარმცველი. გერმანულ ენაში არის სიტყვა „შვალბე“ (მერცხალი). ფეხბურთში ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარობენ იმ ფეხბურთელების აღსანიშნავად, რომლებიც წამდაუწუმ ეცემიან, სიმულანტობენ და, ასე ვთქვათ, მერცხალივით იპყრობენ ყურადღებას მეტოქეთა დაჯარიმების მიზნით. გერმანელი მიმომხილველები იმასაც წერდნენ, რომ ნიჭიერებით მიოლერი თვით ფრანც ბეკენბაუერსაც კი შეიძლება შეედაროს, მაგრამ შთაბეჭდილებას აფუჭებს, როგორც „შვალბე“, ზოგჯერ კი ძალისმიერ ბრძოლასაც გაურბის, რაც ესოდენ თვალშისაცემია სწორედ გერმანულ ფეხბურთში. ასეა თუ ისე, დორტმუნდის „ბორუსიაზე“ განაწყენებული მიოლერი „შალკეში“ გადავიდა და ამ გუნდის ნამდვილი ლიდერი გახდა. „შალკე 04“-ის პირველივე მატჩს „კიოლნთან“ 62 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. ასე დაიწყო გელზენკირხენელების წლევანდელი ტრიუმფი, რომელიც დღემდე გრძელდება და შეიძლება ითქვას, რომ ამ ჩემპიონატში „შალკე 04“ პირველი ადგილის ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი იქნება.

სხვა გუნდებიდან უნდა აღინიშნოს დორტმუნდის „ბორუსიის“ წარმატება, რომელსაც სათავეში ჩადგომიდანვე მარჯვედ მართავს მათიას ზამერი. გერმანელი მიმომხილველების აზრით, მან უკვე აღადგინა მთავარი, რაც ადრე „ბორუსიას“ ახასიათებდა – „გუნდური სულისკვეთება“. ტრავმირებული ვეტერანი შტეფან როიტერი ლიბეროს პოზიციაზე შეცვალა „ფიორენტინიდან“ დაბრუნებულმა იორგ ჰაინრიხმა, რომელიც ჩვეულებრივ ფრთაზე თამაშობს ხოლმე. ახლა დორტმუნდში გამოდის სანდი ოლისეც, რომელმაც ვერ მონახა ადგილი ტურინის „იუვენტუსში“.

ახლა კი ორიოდე სიტყვა იმ კლუბების შესახებ, სადაც ქართული ლეგიონერები თამაშობენ. სამი ქართველის კლუბი „ფრაიბურგი“ ცვალებადი წარმატებით თამაშობს. ლევან ცქიტიშვილმა ამდენი ხნის გაცდენის შემდეგ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში, ლევან კობიაშვილს ახლა სხვადასხვა კლუბი ეპატიჟება, ალექსანდრე იაშვილს კი გერმანელი კომენტატორები აღნიშნავენ, არა მარტო როგორც შეტევის დამაგვირგვინებელს, არამედ როგორც საგოლე გადაცემების ოსტატსაც. არჩილ არველაძის კლუბ „კიოლნს“, რომელიც ორწლიანი „შესვენების“ შემდეგ დაუბრუნდა პირველ ბუნდესლიგას, ძალიან უჭირს, თუმცა თვით ქართველი ლეგიონერის საბრძოლო მზადყოფნა უდავოდ კარგია.

ბიჟი ბამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გუშინ პელე 60 წლის გახდა

გუშინ ლეგენდარულ პელეს, რომელსაც მთელ მსოფლიოში ფეხბურთის მეფეს უწოდებენ, 60 წელი შეუსრულდა. 17 წლის ასაკში მას დებიუტი ჰქონდა ბრაზილიის ნაკრებში არგენტინელთა წინააღმდეგ, 1958 წელს კი საყოველთაო ყურადღება მიიპყრო შვეციაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე, როცა ბრაზილიელებმა პირველად მოიპოვეს ჩემპიონის წოდება. ამის შემდეგ პელე მრავალი წლის განმავლობაში ბრწყინავდა მსოფლიოს საფეხბურთო მინდვრებზე, თამაშობდა აშშ-ს საფეხბურთო ლიგაშიც, იყო ბრაზილიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი. ახლა დიდი ფეხბურთელი ისევ მწვრთნელის საქმიანობას დაუბრუნდა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### მსაჯების მოქმედებას შეეჩვია

**მახაჩყალის „ანჟისა“ და მოსკოვის „დინამოს“ მატჩში (2-2) მსაჯი იმდენჯერ შეცდა, რომ ამ მხრივ ფეხბურთელებიც გაოცდა და ჟურნალისტებიც.**

**აუღელვებელი დარჩა მხოლოდ „ანჟის“ მთავარი მწვრთნელი, მრავალნაცადი.**

**— მე ფეხბურთში სასურსათო მაღაზიიდან არ მოვსულვარ, ასეთი შემთხვევები მრავალჯერ მქონია.**

### თამაში აღარ სურს, მაგრამ სამწლიან კონტრაქტს სთავაზობენ

კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდა „მილანისა“ და ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველი ზვონიმირ ბობანი. მას უთანხმოება მოუვიდა „მილანის“ მწვრთნელ ალბერტო ძაკერონისთან, ძირითად შემადგენლობაში აღარ გამოდის და აცხადებს, რომ გაზაფხულისათვის აპირებს კარიერის დასრულებას.

ამასობაში ბობანმა ასეთი წინადადება მიიღო ინგლისის პრემიერ-ლიგის კლუბ „მიდლსბროსაგან“ — მას სთავაზობენ სამწლიან კონტრაქტს, ამასთან, ყოველწლიურად ორ მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს, ეს კი მის მილანურ ხელფასზე მეტია.

### დესაიის სურს? დაბრუნდეს...

**შეიძლება ამ მოკლე ხანში საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი მარსელ დესაიი „ჩელსის“ გამოეთხოვოს და „პარი სენ-ჟერმენში“ გადაბარგდეს.**

**საქმე ის არის, რომ დესაიი „ჩელსიში“ მიიწვია პირადად ჯანლუკა ვიალიმ, რომელთანაც მას ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ვიალის გადადგომის შემდეგ განთქმულმა მცველმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ „ჩელსის“ დატოვება სურს. „ჩელსის“ დირექტორ — აღმასრულებელმა კოლინ ჰატჩინსონმა განაცხადა, რომ მას შეუძლია „პარი სენ-ჟერმენში“ გადავიდეს, თუკი, რა თქმა უნდა, ფინანსური საკითხები გადაწყდება.**

### პუშკაში საავადმყოფოში მოათავსეს

ლეგენდარული უნგრელი ფეხბურთელი, 73 წლის ფერენც პუშკაში გულის შეტევის გამო საავადმყოფოში მოათავსეს. მდგომარეობა სერიოზული იყო, მაგრამ მკურნალობის შემდეგ ექიმებმა განაცხადეს, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

### „როცა მე შემადგენლობას ვარჩევ, ხელფასის უწყისში კი არ ვიხედები“

**სპორტული პრესა ბევრს წერს იმის შესახებ, რომ ჯორჯ ვეა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელი იყო, ასე მოულოდნელად გამოეთხოვა ინგლისს.**

**საქმე ის არის, რომ „მანჩესტერ სიტიში“ იგი სულ ორი თვის წინათ აღმოჩნდა და კვირაში, არც მეტი, არც ნაკლები, 45 ათას დოლარს იღებდა. 34 წლის ვეტერანს, რომელიც თვლის, რომ ჯერ კიდევ კარგად თამაშობს, სულაც არ აძლევდა ხელს, რომ იშვიათად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში და მის ნაცვლად მინდორზე შოტლანდიელი პოლ დიკოვი გამოდიოდა. მას შემდეგ, რაც შოტლანდიელმა ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა „ბრედფორდის“ კარში, ცხადი გახდა, რომ მას ჯერ კიდევ დიდხანს არავინ შეცვლიდა.**

**ამავე დროს ცხადი იყო, რომ ფეხბურთელი, რომელიც ესოდენ მაღალ ხელფასს იღებდა, სათადარიგო სკამზე არ უნდა გაეჩერებინათ. „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელ ჯო როილს ეს რომ შეახსენეს, მან ასე უპასუხა: „როცა მე შემადგენლობას ვარჩევ, ხელფასის უწყისში კი არ ვიხედები, ვინ რამდენს იღებს“.**

**ამიტომაც იყო, რომ ვეა გამოეხმაურა მარსელის „ოლიმპიკის“ წინადადებას (რომელსაც ახლა საკმაოდ უჭირს) და თამაში საფრანგეთში გააგრძელა.**

### მატჩის წინადღეს გაიყიდა... ერთი ბილეთი

მხოლოდ ერთი ბილეთი გაიყიდა რუსეთის პირველობაზე ელისტის „ურალანისა“ და ვლადიკავკაზის „ალანიის“ მატჩის წინადღით. ასე უპასუხეს გულშემატკივრებმა „ურალანის“ მეტად ულიმღამო თამაშს. თვით მატჩზე 3000 კაცი კი მოვიდა, მაგრამ ისინი ან სრულიად ყმაწვილები იყვნენ, ან ფრიად ხანდაზმული ადამიანები.

### ფანატების საქციელმა კაცი შეიწირა

**ბულგარეთში ცსკასა და „ლევსკის“ მატჩები ყოველთვის დიდ აურზაურს იწვევს ხოლმე. შეხვედრის დამთავრების შემდეგ „ლევსკის“ ქომაგებმა თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ესროლეს ავტობუსს, კაფეში კი მაშხალა შეაგდეს, რომელმაც იქ მყოფი 30 წლის კაცი შეიწირა.**

### კლემენტეს არ გაანთავისუფლებენ

მას შემდეგ, რაც ამ დღეებში სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადმა“ საკუთარ მინდორზე უსასტიკესი მარცხი იგემა „ბარსელონასაგან“ ანგარიშით 0-6, ბევრი ელოდა მწვრთნელ ხავიერ კლემენტეს გადადგომას.

ეს ასე არ მოხდა, რადგან კლუბის პრეზიდენტ ლუის არანგას სიტყვით კლემენტე სწორ გზაზეა (!) და კარგ შედეგებსაც მიაღწევს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ტეიშეირას ფინტი — ამიერიდან ბრაზილიას ემერსონ ლეაო უთავკაცებს

„ვინ შეცვლის ლუქსემბურგოს“? — ასეთი კითხვა-სათაურით გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მასალა, რომელიც ეხებოდა ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცის ვინაობის გარკვევას. ვის არ ასახელებდნენ გადამდგარი ვანდერლეი ლუქსემბურგოს მემკვიდრედ: ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი რიკარდო ტეიშეირას ჰქონდა ერთდროულად ხუთ ცნობილ სპეციალისტთან ჰქონდა მოლაპარაკება. — „კრუზეიროს“ მწვრთნელ ლუის ფელიპე სკოლართან, ლევირ კულპისთან („სან-პაულუ“), ოსვალდო ოლივეირასთან („ვასკუ და გამა“), კარლოს ალბერტო პერეირასთან (მისი თავკაცობით ბრაზილიელებმა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მოიგეს) და კარლოს ალბერტო სილვასთან (1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი). ცხადია, ჟურნალისტები ამ წრეში „ტრიალებდნენ“ და სწორედ მათგან იღებდნენ ინტერვიუებს.



ემერსონ ლეაო

ტეიშეირას ვერდიქტი მოულოდნელი იყო — ტეტრაკამპეონებს ამიერიდან ემერსონ ლეაო უთავკაცებს (გახსოვთ, ალბათ, ეს ცნობილი მეკარე, 1974 და 1978 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე, იგი ფელიქსის დუბლიორი იყო). ახალი მწვრთნელის დებიუტი 14 ნოემბერს შედგება. ამ დღეს ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში კოლუმბიის გუნდს მიიღებს.

ამ მოვლენის პარალელურად ბრაზილიის პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ ვეტერან რომარიოს კარგი შესაძლებლობა აქვს ითამაშოს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე. ადრე 34 წლის თავდამსხმელი დისკრიმინაციას განიცდიდა ნაკრების მწვრთნელ ვანდერლეი ლუქსემბურგოს მხრიდან და მხოლოდ საზოგადოების ერთობლივი მოთხოვნის შემდეგ კვლავ მიიწვია იგი. ახლა რომარიოს სპორტული მზადყოფნა პირდაპირ ბრწყინვალეა, იგი არცა სვამს და არც ეწევა. „თუ ასე გააგრძელებს, ბრაზილიას ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოპოვებაში“.

ანტონიო ლოპესმა, რომელიც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატისათვის ნაკრების მომზადების შტაბს ხელმძღვანელობს, არ გამორიცხა, რომ შეიძლება მოწვეულ იქნას ბრაზილიის ფეხბურთის კიდევ ერთი „ანფან ტელიბალი“ (ფრანგ. „საძაგელი ბიჭი“) ედმუნდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეოცე საუკუნის სპორტული ტრაგედიები

**როგორც წესი, სპორტსმენთა შორეული მგზავრობა სხვადასხვა ქვეყანაში საასპარეზოდ თვითმფრინავით ხდება და ეს, ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. თამაშს თამაში მოსდევს, ტურნირს ტურნირი, რომელთა თარიღები ძალზე შემჭიდროებულია, რაც განაპირობებს საჰაერო ტრანსპორტის გამოყენების აუცილებლობას, თანაც ამ დროს მშვიდობიანი ფრენა არ არის გარანტირებული. არც თუ ისე ხშირად, მაგრამ ზოგჯერ საავიაციო კატასტროფები მაინც ხდება. რასაც სპორტსმენებიც ეწირებიან. გაზეთიდან „საიდუმლო მასალები“ (№17. 2000 წლის სექტემბერი) მოგვყავს მოკლე ისტორიული მონაცემები, თუ როგორ და რა ვითარებაში ხდებოდა ამა თუ იმ გუნდის გაუთვალისწინებელი საჰაერო ტრაგედიები.**








სურათებზე: „მანჩესტერ იუნაიტედის“ გუნდი კატასტროფამდე; ქვევით — ავიაკატასტროფის შემდეგ; მიუნხენის აეროპორტის მემორიალური საათი კატასტროფის დროის აღნიშვნით





კატასტროფისას გადარჩენილები: მარცხნივ — ბობი ჩარლტონი საავადმყოფოში, მარჯვნივ — გუნდის მწვრთნელი — მეტ ბასბი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ჰოკეისტებმა თითქმის პირველებმა გამართეს მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც 1947 წლის თებერვალში პრაღაში მოეწყო. პირველად თავიანთ ისტორიაში ოქროს მედლები მასპინძლებმა, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა მოიპოვა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩემპიონატში ჰოკეის ფუძემდებლები, კანადელები არ მონაწილეობდნენ. ერთი წლის შემდეგ, 1948 წელს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ჩეხოსლოვაკიის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა, ჩემპიონები კი კანადელები გახდნენ გატანილი და მიღებული შაიბების უკეთესი შეფარდებით.

1948 წლის ნოემბერში ჩეხოსლოვაკიის გუნდი მატჩების გასამართად ლონდონისკენ გაემართა. თვითმფრინავმა ლამანშის თავზე კატასტროფა განიცადა. დაიღუპნენ იმჟამინდელი ევროპის ჩემპიონები, მსოფლიოს ექსჩემპიონები და ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორები, რის შედეგადაც ჩეხოსლოვაკიის ჰოკეიმ მძიმე დარტყმა მიიღო. მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, უკვე მომდევნო 1949 წელს განახლებულმა ნაკრებმა სტოკჰოლმში მაინც გაიმარჯვა და კვლავ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი...

40-იან წლებში იტალიის უძლიერეს საფეხბურთო კლუბად ითვლებოდა ტურინის „ტორინო“, რომელიც 1943-1948 წლებში ზედიზედ გახდა იტალიის ჩემპიონი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს იტალიის ეროვნული ნაკრების ძირითად ბირთვს „ტორინოს“ მოთამაშეები შეადგენდნენ. აქვე დავსძენთ, როგორც კლუბის, ასევე იტალიის ეროვნული ნაკრების კაპიტანი იყო ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრალური თავდამსხმელი ვალენტინო მაცოლა. 1949 წლის სეზონში კლუბის მოთამაშეები 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებოდნენ და პარალელურად იტალიის ჩემპიონატში დამაჯერებლად ლიდერობდნენ.

1949 წლის 4 მაისს იტალიელი ფეხბურთელები ლისაბონიდან შინ ბრუნდებოდნენ. თვითმფრინავი ტურინის მისადგომებთან კლდეს შეეჯახა და აფეთქდა. კატასტროფის შედეგად ყველა, ვინც თვითმფრინავში იყო, დაიღუპა, მათ შორის 18 ფეხბურთელი, ჟურნალისტები, ოფიციალური პირები... უმამოდ დარჩა ექვსი წლის სანდრო მაცოლა, ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავი.

ტრაგიკული შემთხვევიდან ორი დღის შემდეგ იტალიის ფეხბურთის ფედერალურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც 1949 წლის იტალიის ჩემპიონად გამოაცხადეს „ტორინო“.

პატარა სანდრო მამის გზას გაჰყვა და ცნობილი ფეხბურთელი გახდა, მაგრამ მამისგან განსხვავებით ალექსანდრო მაცოლა ცენტრფორვარდის ამპლუაში გამოდიოდა არა „ტორინოში“, არამედ „ინტერში“, რადგან მას არ უნდოდა მამის მშობლიური კლუბის თაყვანისმცემლებისთვის ძველი იარა გაეხსენებინა... და მისადმი სიბრალული გამოეხატათ.

1966 წელს მაცოლა-უმცროსი ევროპის ჩემპიონი გახდა. მანამდე კი 20 წლის ალექსანდრომ ძველ გულშემატკივრებს თავი იმით დაამახსოვრა, რომ 1963 წელს მოსკოვის ლუჟნიკებში გამართული იტალიისა და საბჭოთა ნაკრების შეხვედრაში ლევ იაშინმა მისი დარტყმული პენალტი აიღო...

ახლანდელი ეკატერინბურგის (ყოფილი სვერდლოვსკი) ახლოს მდებარე კოლცოვოს აეროდრომთან აღმართულია გრანიტის ობელისკი, რომელზეც ამოტვიფრულია თვითმფრინავ „სი-47“-ის კატასტროფის შედეგად დაღუპულ სახელგანთქმულ ვვს-ის გუნდის თერთმეტი ჰოკეისტის გვარსახელი... ეს ავიაკატასტროფა 1950 წლის 7 იანვარს მოხდა.

გუნდი ითვლებოდა სამამულო ჰოკეის მერცხლად, რომლის მონაწილეები ვერ მოესწრნენ საბჭოთა ჰოკეის ტრიუმფულ გამარჯვებას მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებზე, მაგრამ ამ გამარჯვებათა ფონზე მათი სახელებიც ნათლად კაშკაშებს.

გუნდს მორიგი კალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე უნდა ჩაეტარებინა სვერდლოვსკში. იქ გამგზავრება თავდაპირველად განზრახული იყო მატარებლით, მაგრამ ახლადდანიშნულმა მოთამაშე-მწვრთნელმა ბობროვმა დაჟინებით მოითხოვა თვითმფრინავით გაფრენა, რომ მეტი დრო დაეთმოთ ადაპტაციისა და ვარჯიშისთვის.

იმ დღეს სვერდლოვსკის თავზე ქარბუქი მძვინვარებდა. აეროპორტის მომსახურე პერსონალი თვითმფრინავის მისაღებად ემზადებოდა და ამისათვის დასაჯდომი ზოლი თოვლიანი საფარველისგან მთლიანად გაასუფთავეს, მაგრამ თვითმფრინავის ბორბლები დასაჯდომ ზოლს არ შეხებია. ჰაერში მოხდა კატასტროფა, რომლის შედეგად დაიღუპნენ თავდასხმის პირველი სამეული — იური ტარასოვი (ცნობილი მწვრთნელის ანატოლი ტარასოვის უმცროსი ძმა), ზდენეკ ზიკმუნდი და ივან ნოვიკოვი, ფორვარდები იური ჟიბურტოვიჩი და ანატოლი მოისეევი, მცველები რობერტ შულმანისი და ევგენი ვორონინი, ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე ჰარი მელუპსი და სხვა ცნობილი ოსტატები. თვითმფრინავის ეკიპაჟთან ერთად სულ დაიღუპა 19 კაცი.

სხვათა შორის, დაღუპულთა შორის შეიძლება ყოფილიყო კიდევ სამი სახელგანთქმული ჰოკეისტი. ესენი იყვნენ: მცველი ალექსანდრე ვინოგრადოვი, რომელსაც ორი თამაშით დისკვალიფიკაცია ჰქონდა მიღებული, ცნობილი ფორვარდი ვიქტორ შუვალოვი, რომელიც სამხედრო საჰაერო ძალების გუნდში ახალი გადმოყვანილი იყო ჩელიაბინსკის „ტრაქტორიდან“. სვერდლოვსკში თამაშის შემდეგ ვვს-ის გუნდი უნდა შეხვედროდა კალენდარულ მატჩში სწორედ ვ. შუვალოვის მშობლიურ ჩელიაბინსკის „ტრაქტორს“. მოსკოვის სამხედრო ოლქის ავიაციის სარდალმა გენერალმა ვასილ სტალინმა, რომელიც, ფაქტობრივად ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების ყველა სპორტულ გუნდს ხელმძღვანელობდა, იმისთვის, რომ არ გაეღიზიანებინათ ჩელიაბინსკელი გულშემატკივრები, საჭიროდ არ ჩათვალა ურალის ტურნეში ვ. შუვალოვის მონაწილეობა. რაც შეეხება მესამე გადარჩენილ ჰოკეისტს, ის გახლდათ ყველაზე სახელგანთქმული ვსევოლოდ ბობროვი, რომელიც ვასილი სტალინის უშუალო მოთხოვნით ცდკა-დან ახალი გადაყვანილი იყო ვვს-ში და მისი დებიუტი მფრინავთა გუნდში სწორედ სვერდლოვსკში უნდა შემდგარიყო. მაგრამ მას ღრმა ძილში გამოეპარა გაფრენის დრო, რომელიც დილის 6 საათზე იყო დანიშნული, ხოლო მაღვიძარა საათმა რატომღაც ზარი არ გამოსცა. ბედიც ასეთი უნდა! ვსევოლოდ ბობროვი სვერდლოვსკში ვერ გაფრინდა და გადარჩა. მან სახელი არა მარტო ფეხბურთის თამაშით გაითქვა, არამედ, აგრეთვე გახდა ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი შაიბიან ჰოკეიში, იყო რა ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე ფეხბურთელი და ჰოკეისტი მთელ მსოფლიოში.

1958 წლის 6 თებერვალს მიუნხენის აეროპორტში თვითმფრინავი აფეთქდა, რომელიც ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მძიმე კატასტროფად ითვლება და ის შეემთხვა ინგლისის უძლიერეს კლუბს „მანჩესტერ იუნაიტედს“. გუნდის ფეხბურთელებს სიყვარულით „ბასბის ბიჭებს“ უწოდებდნენ. მეტ ბასბიმ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელობა 1945 წელს დაიწყო. მან შექმნა უძლიერესი გუნდი, რომელიც ორჯერ გავიდა ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში. ბოლო ნახევარფინალური მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 1958 წელს მოუგო ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“. თვითმფრინავში, რომელიც ბელგრადიდან ლონდონში ბრუნდებოდა, ფეხბურთელების და მწვრთნელების გარდა იმყოფებოდნენ ჟურნალისტები და ინგლისის საფეხბურთო ლიგის ჩინოვნიკები, აგრეთვე 5 მგზავრი და ეკიპაჟის 6 წევრი. თვითმფრინავი საწვავის შესავსებად მიუნხენში დაჯდა. იმ დღეს, 6 თებერვალს, მიუნხენის აეროპორტის საფრენ ზოლზე თოვლიანი ქარიშხალი მძვინვარებდა. თვითმფრინავმა სველი თოვლით დაფარული ასაფრენი ზოლიდან ორჯერ სცადა აფრენა, მაგრამ ორივეჯერ უშედეგოდ. მესამე ცდა საბედისწერო აღმოჩნდა, — გადახრილმა თვითმფრინავმა, ავითარებდა რა სიჩქარეს, გაანგრია აეროპორტის ზღუდე და შეიჭრა აგურის შენობის კედელში, რომლისგანაც მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩა. თვითმფრინავს ცეცხლი წაეკიდა. 20 ადამიანი დაიღუპა. კიდევ ორი მიღებული ჭრილობებისა და დამწვრობისაგან ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

მიუნხენის ტრაგედიის შედეგად „მანჩესტერ იუნაიტედის“ რვა ფეხბურთელი წავიდა ამ ქვეყნიდან. ინგლისის ნაკრების ორმა მოთამაშემ — ჯეკ ბლენჩფლაუერმა და ჯონ ბერიმ უმძიმესი ტრავმები მიიღეს და მათ შემდგომში საერთოდ ვეღარ შეძლეს საფეხბურთო მინდორზე გამოსვლა. გუნდის მწვრთნელი მეტ ბასბი და ოცი წლის ბობი ჩარლტონი უვნებლად გადარჩნენ.

რვა წლის შემდეგ — 1966 წელს ჩარლტონი, ინგლისის ეროვნული ნაკრების ყველაზე სახელგანთქმული ფეხბურთელი, გუნდთან ერთად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიო სიმბოლურ ნაკრებშიც დაასახელეს.

მეტ ბასბიმ, რომლის თვალწინ დაიღუპნენ მისი „ბიჭები“, გააგრძელა სამწვრთნელო საქმე, და მისმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა. სწორედ მაშინ მან შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „ჩვენ ვალი მოვიხადეთ მათ მიმართ, ვინც მიუნხენში დაიღუპა“...

1969 წელს ლათინურ ამერიკაში მოხდა ავიაკატასტროფა. ტრაგედია მაშინ მოხდა, როცა ბოლივიის საფეხბურთო კლუბის გუნდი „სტრონგესტი“ ლა-პასში მიფრინავდა. თვითმფრინავი ანდების მთებში ჩამოვარდა და დაიმსხვრა...

1979 წლის 11 აგვისტოს დნეპროპეტროვსკის ოლქის ცარიჩანსკის რაიონის სოფელ ელიზავეტოვკაში ასაფლავებდნენ ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებს. მოულოდნელად ციდან დაიწყო ლითონის ნამტვრევების, ნივთების და ადამიანთა გვამების ჩამოცვენა. როგორც შემდეგში გაირკვა, აღმოჩნდა, რომ სოფლის თავზე ერთმანეთს შეეჯახა ორი ტუ-134ა, რომლებიც ნისლიან ღრუბლებში მიფრინავდნენ და მფრინავები ლაინერების ერთმანეთთან მიახლოებას ვერ ხედავდნენ. თვითმფრინავები ერთმანეთს შეეჯახა და აფეთქდა. მგზავრების გადარჩენის შანსი არ დარჩა. დაღუპულთა შორის იყო ტაშკენტის „პახტაკორის“ 17 წევრი, რომლებიც მინსკში მიფრინავდნენ ადგილობრივ „დინამოსთან“ შესახვედრად.

1979 წლის ივნისში „პახტაკორის“ უფროსი მწვრთნელი იყო საფეხბურთო სამყაროში ცნობილი ფეხბურთელი და სპეციალისტი ოლეგ ბაზილევიჩი, რომელმაც ალექსანდრე კოჩეტკოვი შეცვალა. ბაზილევიჩის ხელმძღვანელობით „პახტაკორმა“ საბჭოთა კავშირის პირველობაზე ზედიზედ ორი თამაში მოიგო და გუნდი აღმავლობის გზაზე იყო. მორიგი მატჩის ჩასატარებლად იგი მინსკში გაფრინდა. ტუ-134ა თვითმფრინავის სალონის დაახლოებით მესამედი პახტაკორელებს ეკავათ. თვითმფრინავი ასრულებდა რეისს ტაშკენტი-გურიევი-დონეცკი-მინსკი. დონეცკამდე ფრენა ნორმალურად მიმდინარეობდა. საწვავის შევსების შემდეგ, ლაინერი 13 საათსა და 11 წუთზე დონეცკიდან გაფრინდა. მანამდე, 15 წუთით ადრე ვორონეჟის აეროპორტიდან აფრინდა სხვა ტუ-134ა, რომელიც 88 მგზავრით მიფრინავდა რეისით ვორონეჟი-კიშინიოვი. ბელორუსიის და მოლდავეთის თვითმფრინავების ფრენის მარშრუტები დნეპროძერჟინსკის რაიონში ერთმანეთზე გადაიკვეთა. ფრენას ხარკოვის ცენტრის დისპეტჩერები მართავდნენ. იმავე დროს ახლომდებარე საჰაერო დერეფანს გადიოდა სკკპ გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევის თვითმფრინავი ილ-62. აქ, უცნაური ის იყო, რომ ასეთი დაძაბული საჰაერო სექტორის მართვა მინდობილი ჰქონდა ნაკლებგამოცდილ დისპეტჩერს, რომლის მოქმედებას აკონტროლებდა დარღვევებისათვის ადრე არაერთგზის დასჯილი კოლეგა. სწორედ მათი შეუთანხმებელი ქმედებების გამო ეთერში არეულ-დარეულობა მოხდა. ორივე დისპეტჩერის დანაშაულით 13 საათსა და 35 წუთზე (ყველგან მოსკოვის დროა ნაჩვენები) მოლდავეთის ტუ-134ა დაეჯახა ბელორუსიის თვითმფრინავს. ავიაკატასტროფამ 178 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის „პახტაკორის“ 14 ფეხბურთელი, მწვრთნელი ტაბეტდინოვი, გუნდის ექიმი და ადმინისტრატორი. დაღუპულთა შორის იყვნენ გუნდის კაპიტანი, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი მიხეილ ანი და ძალზე პერსპექტიული ფეხბურთელი ფეოდოროვი.

იმ საბედისწერო დღეს „პახტაკორის“ უფროსი მწვრთნელი ოლეგ ბაზილევიჩი ტაშკენტიდან მინსკში არ გაფრენილა მხოლოდ იმიტომ, რომ მან მოინდომა ერთი დღე-ღამე გაეტარებინა ოჯახთან, რომელიც სოჭში ისვენებდა. ბაზილევიჩმა სწორედ სოჭში გაიგო საზარელი ამბავი. თვითმხილველები ამტკიცებდნენ, რომ ამ მომხდარი ტრაგედიის გამო ის ერთ დღეში მთლად გათეთრდა და მობერდა.

1979 წლის 17 აგვისტოს 17 პახტაკორელი უკანასკნელ გზაზე გააცილეს. დაღუპულთა უკვდავსაყოფად ტაშკენტის და უზბეკეთის სხვა ქალაქების ქუჩებს მათი სახელები დაერქვა.

გადაწყდა, რომ ტაშკენტის „პახტაკორში“ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების გუნდებიდან მივლინებული ყოფილიყვნენ ფეხბურთელები, და 6 დღის შემდეგ, 23 აგვისტოს ტაშკენტის გუნდმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მორიგი მატჩი ერევანში ითამაშა. სხვათა შორის, 1980 წელს ტაშკენტის „პახტაკორის“ რიგებში აღმოჩნდა ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელი მანუჩარ მაჩაიძე...

1993 წელს ავიაკატასტროფაში დაიმსხვრა თვითმფრინავი, რომლითაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ჩასატარებლად მავრიკიიდან სენეგალში მიფრინავდა ზამბიის ნაკრები. ფეხბურთელების გარდა დაიღუპნენ თვითმფრინავის ეკიპაჟის ყველა წევრი და დელეგაციის ოფიციალური პირები — სულ 30 კაცი. თვითმფრინავში არ იყვნენ ის ლეგიონერები, რომლებიც ევროპის სხვადასხვა კლუბებში გამოდიოდნენ და იქიდან უნდა ჩასულიყვნენ თამაშის დღეს სენეგალში...

ზამბიის პრეზიდენტი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით ქვეყნის გარეთ იმყოფებოდა, მაშინვე სამშობლოში დაბრუნდა და ეროვნული გლოვა გამოაცხადა. რაც შეეხება ზამბიის ნაკრებს, — ის ხელახლა შედგა. ახალი გუნდის ძირითადი შემადგენლობა ევროპაში მოთამაშე ლეგიონერებით დაკომპლექტდა.

აი, ასეთია მოკლე ისტორიული ინფორმაციები იმ ავიაკატასტროფების შესახებ, რომელთა შედეგად დაშავდნენ ან დაიღუპნენ სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი ფეხბურთელები და ჰოკეისტები.

**მოამზადა**
**გურამ ჩხიკვაძე**

ჭადრაკი ● მსოფლიო პირველობის მატჩი



# 5:4 კრამნიკის სასარგებლოდ



რა თქმა უნდა, არავის ავიწყდება, რომ ახლანდელი მატჩი მსოფლიო პირველობაზე 16 პარტიისაგან შედგება და არა 24-ისაგან, როგორც ეს ადრე იყო. ეს კი ნიშნავს, რომ გარი კასპაროვისა და ვლადიმირ კრამნიკის მატჩში უკვე მეორე ნახევარი დაიწყო.

კომენტატორები ამ მეტისმეტად მძაფრი სუპერმატჩის ათასგვარ (რომელთა დიდი უმეტესობა, რა თქმა უნდა, კადრს მიღმა რჩება) ასპექტს ეხებიან. აქ საყურადღებოა, რომ პირველ 9 პარტიაში კასპაროვმა შავებით ვერა და ვერ გაბედა (როდისღა გაბედავს!) თავისი საყვარელი ძველინდური დაცვის გამოყენება. ძნელი სათქმელია, რას ერიდება იგი, ის კი ცხადია, რომ, რასაც მიმართავს (გრიუნფელდის დაცვა, ე.წ. ლაზიერის მიღებული გამბიტი), ყოველივე არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. მიმომხილველები იმასაც აღნიშნავენ, რომ ასეთ არასასურველ პოზიციებშიც კასპაროვს რაღაცნაირი იღბალი აქვს. სპეციალისტებს არ ესმით, როგორ არ უნდა მიეყვანა ჩვეულებრივ ასე ზუსტად მოთამაშე კრამნიკს ბოლომდე უზარმაზარი უპირატესობა ჯერ მეოთხე, შემდეგ კი მეექვსე პარტიაში. მართალია, მას უკვე თავიდანვე მიჰყავს ანგარიში, მაგრამ ხომ არ ამოქმედდება ოდესმე ცნობილი კანონი: „როცა გოლი არ გაგაქვს, მაშინ შენ თვითონ გაგიტანენ".

მეშვიდე პარტიამ მაინც თავსატეხი გაუჩინა კომენტატორებს. კასპაროვი, თეთრებით რომ ვერაფერს მიაღწია, უკვე მე-11 სვლაზე დათანხმდა ყაიმზე და ბრძოლა მომდევნო დროისთვის გადადო. რა თქმა უნდა, მას აუცილებლად ექნება მომზადებული თეთრებით რამდენიმე ნაღმი, მაგრამ კრამნიკი აქამდე ისე მარჯვედ უვლიდა გვერდს, ასე ვთქვათ, „წვეტიან კლდეებს", რომ ჩემპიონს არ მიეცა მათი „აფეთქების" საშუალება. ახლა საქმე ისაა, თუ ვინ წამოეგება მახეს, ჩემპიონი თუ პრეტენდენტი.

მერვე პარტია წინანდელისაგან განსხვავებით, უფრო მძაფრად და შინაარსიანად მიმდინარეობდა, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, აქაც ყაიმი აღინიშნა. მიმომხილველებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ამ მატჩში პირველად კასპაროვმა კარგი პოზიცია მიიღო და მოგებისაკენ ისწრაფვოდა, მაგრამ პრეტენდენტმა ზუსტი თამაშით შეძლო მდგომარეობის გათანაბრება.

კვირას მეცხრე პარტიაში თეთრებით კასპაროვმა ხელი აიღო ლაზიერის გამბიტზე და კვლავ ესპანურ პარტიას მიმართა. მას, ეტყობა, რაღაც „რეცეპტი" ჰქონდა ე.წ. „ბერლინური ვარიანტის" წინააღმდეგ, რომელსაც შავებით კრამნიკი ირჩევს. პრეტენდენტი ელოდა ამნაირ სიურპრიზს, ამიტომ პირველმა გადაუხვია ადრინდელ გაგრძელებებს, გაათანაბრა პოზიცია და 30-ე სვლაზე კვლავ ყაიმი აღინიშნა.

ანგარიში გახდა 5:4 კრამნიკის სასარგებლოდ. მორიგი მეათე პარტია, რომელშიც თეთრებით კრამნიკი ითამაშებს, დღეს გაიმართება. მატჩის დამთავრებამდე 7 პარტია დარჩა, უკვე იგრძნობა ფინიშის მოახლოება.

## საბერძნეთის ორ ტურნირში

თბილისელი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ ორ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე მიმდინარეობდა.

პირველი ქ. ხანიაში ჩატარდა 141 მოჭადრაკის მონაწილეობით (9 ტურად, შვეიცარიული სისტემით), რომელთა შორის 6 დიდოსტატი იყო. 7,5-7,5 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა მაქსიმ ტუროვმა (რუსეთი) და გია ბაღათუროვმა (საქართველო). დამატებითი მონაცემებით პირველი პრიზი ტუროვს მიეკუთვნა.

შემდეგ 48 მოჭადრაკემ თავი მოიყარა ქ. ქალკიდაში, რომელთა შორის 5 დიდოსტატი იყო. თამაშობდნენ კვლავ შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად. 7,5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა ყოფილი კიეველი დიდოსტატი ეფიმ როტშტეინი, რომელიც ახლა გერმანიაში ცხოვრობს. საქართველოს ჩემპიონმა თამაზ გელაშვილმა 6,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები გაიყო, ხოლო საერთაშორისო ოსტატმა ნიკოლოზ მანაგაძემ 6 ქულით დაამთავრა შეჯიბრება.

## დევენპორტმა მოუგო ვ. უილიამსს



ლინცის (ავსტრია) ქალთა დიდ საერთაშორისო ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ პირველ და მეორე ნომრად განთესილი ამერიკელი ჩოგბურთელები — ვენუს უილიამსი (ახლანდელი ოლიმპიური ჩემპიონი) და ლინდსეი დევენპორტი (1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონი)

ვენუს უილიამსი წლევანდელ შეჯიბრებებში განსაკუთრებული წარმატებით იბრძვის და პირველი ადგილები დაიკავა რამდენიმე უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებაში, ამასთან, ყოველთვის ამარცხებდა დევენპორტს. ამჯერად კი ლინცში მისი გამარჯვებების სერია შეწყდა — სამ სეტში გაიმარჯვა ლინდსეი დევენპორტმა.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**24 ოქტომბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ლიდსი" – „ბარსელონა" (23.40); მიმოხილვა (2.00), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***მე-9 არხი.*** ფეხბურთი. ევროპის სტადიონებზე (20.10), ***НТВ.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: კიევის „დინამო" – ეინდჰოვენის პსვ (23,35), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონატები და მიმოხილვა: საფრანგეთის (14.00, 19.55), გერმანიის (16.30), ინგლისის (17.30, 22.05), ესპანეთის (23.05), ჩემპიონთა ლიგა: „ლიდსი" – „ბარსელონა" (23.35), „იუვენტუსი" – „ჰამბურგი" (1.45), ***НТВ плюс спорт.*** სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი (23.05), მსოფლიო პირველობა ჭადრაკში (0.00), ***ESPN.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა და მატჩები (3.30, 23.00, 1.30), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (12.30), ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), კრივი. საერთაშორისო მიმოხილვა (0.00).

**25 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2*** ჩემპიონთა ლიგა: მიმოხილვა (15.15), „ბაიერი" – „სპარტაკი" (23.40) ტურის მიმოხილვა (2.00). ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***მე-9 არხი.*** „ევროპის სტადიონებზე" (11.20, 20.10), ***НТВ*** ჩემპიონთა ლიგა: „ბაერი" – „სპარტაკი" (23.35), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: კიევის „დინამო" – ჰოლანდიის პსვ (13.15), „ლიდსი" – „ბარსელონა" (18.10), „იუვენტუსი" – „ჰამბურგი" (20.45), „რეალი" – „სპორტინგი" (23.35), „ოლიმპიაკოსი" – „ვალენსია" (1.45), ქვეყნების ჩემპიონატები და მიმოხილვა: ესპანეთის (15.00), ინგლისის (15.30), ბრაზილიის (20.15), იტალიის (22.30), ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო პირველობაზე (11.40), აერობიკა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.10), სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი (13.05), ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა: „მანჩესტერ სიტი" – „საუთჰემპტონი" (6.30), იტალიის ჩემპიონატი: „იუვენტუსი" – „მილანი" (8.30), ჩემპიონთა ლიგა (17.00, 19.30, 23.00, 1.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (11.30), ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში (13.00, 14.00, 23.00).

**26 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ავტოსპორტი (20.50), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (15.15), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***მე-9 არხი.*** „ევროპის სტადიონებზე" (11.10), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „ბაიერი" – „სპარტაკი" (13.15), „რეალი" – „სპორტინგი" (18.05), „ოლიმპიაკოსი" – „ვალენსია" (20.40), ქვეყნების ჩემპიონატები და მიმოხილვა: ბრაზილიის (15.00, 16.20), იტალიის (15.30), ინგლისის (1.05), ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. მატჩი მსოფლიოს პირველობაზე (0.00). ***ESPN.*** იტალიის ფეხბურთი (12.00), ჩემპიონთა ლიგა (17.30, 19.30), ინგლისის პრემიერ-ლიგა (22.30), ***EUROSPORT.*** ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე (13.00, 14.00, 23.00). ფეხბურთი (1.30).

რა ხდება ქვეყანაზე

## სიტყვის გატეხვას არ აპირებს

ორგზის ოლიმპიურმა და არაერთგზის მსოფლიო ჩემპიონმა სპრინტსა და გიტში ფრანგმა ველოსიპედისტმა ფელისია ბალანჟემ უარი განაცხადა გამოვიდეს მორიგ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც 25-დან 29 ოქტომბრამდე ჩატარდება ინგლისის ქალაქ მანჩესტერის ტრეკზე. სატელევიზიო ინტერვიუში მან კიდევ ერთხელ განაცხადა გადაჭრით თავის განზრახვაზე კარიერის დამთავრების შესახებ: „სიდნეის წინ ვთქვი, რომ ეს იქნება ჩემი ბოლო რბოლა და ეს გადაწყვეტილება, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ძალაშია". მანჩესტერში ფრანგი სპორტსმენის არყოფნით ბევრ უძლიერეს მრბოლ ქალს გაეხსნება „ხელ-ფეხი", რომელთაც ფ. ბალანჟე გასაქანს არ აძლევდა.

## ტოტო ლოტო № 41

ტირაჟის შედეგები 21-22.10.2000

**ლოტო 6-42**

**17 18 24 25 37 42**

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 34182.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 0 x | 326.10 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 4 რიცხვი | 18 x | 11.90 ლარი | |
| 3 რიცხვი | 237 x | 1.50 ლარი | |

**სუპერ 7**

**9 1 5 4 5 6 1**

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 1 5 4 5 6 1 | 50,000 ლარი | 5 6 1 | 50 ლარი |
| 1 5 4 5 6 1 | 15,000 ლარი | 6 1 | 3 ლარი |
| 5 4 5 6 1 | 5,000 ლარი | 1 | 0.50 ლარი |
| 4 5 6 1 | 500 ლარი | | |

**ტოტო ფეხბურთი 12**

**2 2 1 1 1 X 1 1 1 1 1 1**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 5859.30 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 11 შედეგი | 0 x | 1964.3 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 14 x | 10.20 ლარი | |

42-ე ტირაჟის პროგრამა (28-29. 10. 2000)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ინგ. | ვესტ-ჰემი – ნიუკასლი | 20-20-60 |
| 2. | ინგ. | ბრედფორდი – ლიდსი | 20-30-50 |
| 3. | ინგ. | იფსვიჩი – მიდლსბრო | 40-30-30 |
| 4. | გერ. | ვერდერი – ბაიერნი | 20-40-40 |
| 5. | გერ. | უნტერჰახინგი – ჰამბურგი | 30-30-40 |
| 6. | გერ. | კიოლნი – შტუტგარტი | 30-40-30 |
| 7. | ესპ. | მალიორკა – ბარსელონა | 20-20-60 |
| 8. | ესპ. | ოსასუნა – ვალენსია | 20-30-50 |
| 9. | ესპ. | ვილიარეალი – ბილბაო | 40-30-30 |
| 10. | საფ. | ტრუა – მონაკო | 20-30-50 |
| 11. | საფ. | ბასტია – სენტ ეტიენი | 60-20-20 |
| 12. | საფ. | მეცი – ლანსი | 30-40-30 |

**ტოტო ფეხბურთი 11**

**1 X 1 1 1 1 1 2 X 1 2**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 166.40 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 0 x | 166.40 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 9 შედეგი | 4 x | 18.60 ლარი | |

42-ე ტირაჟის პროგრამა (28-29. 10. 2000)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | გერ. I | ვერდერი – ბაიერნი | 20-40-40 |
| 2. | გერ. I | შალკე – ლევერკუზენი | 40-30-30 |
| 3. | გერ. I | მიუნხენ 1860 – ჰერტა | 40-40-20 |
| 4. | გერ. I | დორტმუნდი – კაიზერი | 40-30-30 |
| 5. | გერ. I | ჰანზა – ვოლფსბურგი | 40-30-30 |
| 6. | გერ. I | უნტერჰახინგი – ჰამბურგი | 30-30-40 |
| 7. | გერ. I | აინტრახტი – ფრაიბურგი | 40-30-30 |
| 8. | გერ. I | კიოლნი – შტუტგარტი | 30-40-30 |
| 9. | გერ. II | ობერჰაუზენი – ჰანოვერი | 30-40-30 |
| 10. | გერ. II | ვალდჰოფი – მიონხენგლადბ. | 20-50-30 |
| 11. | გერ. II | ზანქტ პაული – ზაარბრიუკენი | 40-30-30 |

## სპორტული ლოტო № 05

ტირაჟის შედეგები 22.10.2000

| სვლა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 21 | 12 | 7 | 17 | 11 | 2 | 22 | 5 | 6 | 14 |
| სვლა | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| | 3 | 20 | 9 | 13 | 15 | 24 | 1 | 18 | 23 | 4 |
| | | 10,000 ლარი | 1,000 ლარი | 100 ლარი | 50 ლარი | 10 ლარი | 5 ლარი | 2 ლარი | 1 ლარი | 1 ბილეთი |

8 10 16 19

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გაზეთ „11X11"-ის რედაქტორს ვასილ ტალახაძეს მეუღლისა და ვაჟიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის მწვრთნელი ძიუდოში

ნოდარ მელიქიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## კროსვორდი №83



**თარაზულად:** 3. ქართული საფეხბურთო კლუბი, 7. ბრაზილიელი თავდამსხმელი 60-იან წლებში, 10. ბოლო ოლიმპიური თამაშების პრიზიორი საქართველოდან, 11. ფრანგი ფეხბურთელის — ბლანის სახელი, 13. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 14. ბოლო ოლიმპიური თამაშების პრიზიორი საქართველოდან, 15. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი-მეკარე, 16. ვეტერანი ქართველი ჩოგბურთელი, 19. წარსულში ცნობილი ქართველი ფალავანი, 20. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 21. ცნობილი ლიბერიელი ფეხბურთელი, 24. ილეთი ქართულ ჭიდაობაში, 25. ერთი ხელი თამაში ჭადრაკში, ჩოგბურთში... 26. სპორტულ შეჯიბრებაში შედეგების გამომსახველი ექვივალენტი, 28. წარსულში ცნობილი ხელბურთელი ვაჟი, 30. ძალოსნობის ინვენტარი, 31. საჭიდაო არენის ინვენტარი, 34. წარსულში ცნობილი საკალათბურთო მწვრთნელი საქართველოში, 35. სუმოს გამოჩენილი ქართველი ოსტატი.

**შვეულად:** 1. წარსულში ცნობილი ჩრდ. ირლანდიელი ფეხბურთელი, 2. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, მცველი 70-იან წლებში, 4. ახლო წარსულში რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, 5. წარსულში ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელი, 6. რუმინეთის ნაკრების ფეხბურთელი, 8. ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელი 80-იან წლებში, 9. რასაც სპორტსმენი დროებით გამოჰყავს მწყობრიდან, 12. ქუთაისის „ტორპედოს" ვეტერანი ფეხბურთელი 80-იან წლებში, 15. ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ფეხბურთელი საქართველოდან, 17. ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" ცნობილი ფეხბურთელი, მცველი, ამჟამად მწვრთნელი, 18. ცნობილი ქართველი ტანმოვარჯიშე ვაჟი, 22. ძალოსნური ორჭიდის დისციპლინა, 23. უმთავრესი ოლიმპიური დოკუმენტი, 27. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მცველი მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატში, 29. საქართველოს სამბისტთა უფროსი მწვრთნელი, 30. „გალათასარაის" შემოკლებული სახელი, 32. შეფასება ძიუდოში, 33. არმიელთა სპორტული კლუბის აბრევიატურა.

**№82 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ქველიაშვილი, 10. ხომიჩი, 11. ტოგონიძე, 12. „აია", 13. ნებიერიძე, 14. ელო, 15. იაძე, 17. „მილანი", 19. „ვიძევი". 20. დაე, 21. სალინასი, 24. „ივერია", 25. ილი, 26. აიალა. **შვეულად:** 2. ვახტანგაძე, 3. ლომინეიშვილი, 4. ანჩაბაძე, 5. „ინტერი", 6. „დინამო", 7. მოსეშვილი, 8. ნიგერია, 9. შელია, 16. ბესტი, 18. ნესტა, 22, ლოე, 23. ნოა.

## საჭადრაკო ამოცანა

რ. მარცვალაშვილი

დუშეთის რაიონი, სოფელი ჩარგალი



შამათი 4 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მფ:e2! მუქარა 2. მa5X.
1. ...ეh2+ 2. კg2X. 1. ...კg4+ 2. კf3X.
1. ...მ – 2. ეc3X. 1. ...ლ:b6 2. მd6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.